# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 დეკემბერი, 2013 წელი.

№251 (7379)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## არჩევნებში დამარცხებას ვერშეგუებული ნაციონალების მთავარი საბრძოლო იდეოლოგიური იარაღი, როგორც ყოველთვის, დღესაც პროვოკაცია, შანტაჟი და დემაგოგიაა, რასაც ისინი თავისი არსით ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი „რუსთავი-2“-ის აშკარად ბინძური პროპაგანდისტული ხერხებით ახორციელებენ!



4

## აქა ამბავი მორალისა და ნაცების მიერ დაჭერილი ყველაზე გრძელი კურდღლისა

## ეს უკრაინული გზაა! 3

## პანდორას მთავარი ყუთი, 2

### ანუ „გამარჯვებული ხალხის“ კი არა, ხალხზე გამარჯვებული ტელევიზია

## ბიუჯეტჭამია (უ)ზღვლაველები

### თბილისის მერიამ რესტორნებსა და ბარებში 484 255 ლარი დახარჯა



6

## აკი ძაღლი შინ არ ვარგოდაო... 9

## მეცხრე პრეზიდენტი და მესამე ბახი, 7

### ანუ ოლიმპიური ორკესტრის დირიჟორი




საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ლარის სიმბოლოს შესარჩევ კონკურსს. აღნიშნულთან დაკავშირებით შექმნილია ლარის სიმბოლოს შესარჩევი დროებითი კომისია, რომელიც განიხილავს მიღებულ განაცხადებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 27 იანვრის ჩათვლით საქართველოს ეროვნულ ბანკში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2.

განაცხადები წარმოდგენილ უნდა იქნას ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსის წესების შესაბამისად, რომელიც განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე: http://www.nbg/index.php?m=378 დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე 2 406 406 ან ელ.ფოსტის საშუალებით lari@nbg.ge


## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ვაი ჭკუისაგან

# პანდორას მთავარი ყუთი, ანუ „გამარჯვებული ხალხის“ კი არა, ხალხზე გამარჯვებული ტელევიზია

**უძველესი მითები და ლეგენდები საიმისოდ სჭირდება ადამიანს, განსაკუთრებით შთამომავლობას, რომ ამ გონიერი, ათასი დროჟამგამოვლილი მითების და ლეგენდების სიბრძნე გაითვალისწინოს და ჭკუა ისწავლოს.**

...როცა „თავხედმა“ პრომეთემ ცეცხლი მოჰპარა ღმერთებს და ადამიანებს ჩამოუტანა დედამიწაზე, ზევსმა პრომეთეს ჯიბრზე სწორედ რიგითი მოკვდავების – ადამიანების დასჯა განიზრახა და მისი ბრძანების აღმსრულებელ პანდორას ჯადოსნური ყუთის გახსნა დაავალა. გახსნა პანდორამ ყუთი და კაცთა მოდგმას შეესია შავი ჭირი, კეთრი, ჭლექი, ტიფი, კიბო, ინფარქტი, შიდსი, შიზოფრენია, ვენერიული დაავადებები (ადრე აფროდიტეს სენად რომ მოიხსენიებდნენ) და ათასი სხვაგვარი უბედურებანი...



პანდორამ სწორედ იმ დროს დაახურა თავი ჯადოსნურ ყუთს, როცა იმედი უნდა ამოფრენილიყო... მას შემდეგ ჩაკეტილია ეს ყუთი და ვერავინ შეძლო მისი გახსნა.

ქართულ მასმედიაში თანამედროვე ტელევიზიებს, განსაკუთრებით კი „რუსთავი-2“-ს, ერთმა ცნობილმა მხატვარმა და მწერალმა ხატოვნად შეარქვა პანდორას ყუთი, საიდანაც უზნეობის, სიცრუის, ორპირობის, მიკერძოების, გაუკულმართებული სექსუალური ორიენტაციის ნიაღვარი მოედინება...

„რუსთავი-2“-მა თვითდამკვიდრება, როგორც „თავისუფალმა“ ტელევიზიამ, დასავლური ლიბერასტული მაუწყებლობების მსგავსად, შანტაჟით და სკანდალური სიცრუით დაიწყო... მარტოოდენ აკაკი გოგიჩაიშვილის საავტორო (თუმცაღა, ესეც უცხოეთიდან ნასესხები!) გადაცემა „60 წუთის“ გახსენება იკმარებდა. რამდენ ცნობილ ადამიანს მიაყენა მან შეურაცხყოფა, რამდენ კეთილსინდისიერ თანამოქალაქეს – მინისტრს თუ მწერალს, მეწარმეს თუ პოლიტიკოსს მოუკლა გული, საქვეყნოდ „შეარცხვინა“ და ზნეობრივად დაასნეულა... მერე რა, რომ გაუგონარი სიცრუის გამო აკაკი გოგიჩაიშვილის ტელევიზიამ რამდენიმე სასამართლო პროცესი პირწმინდად წააგო, დღეს ეს იქედნეს ნაშობი კვლავ გამოჭიმულია „ბიზნეს-კურიერში“ და ნაციონალების მიერ „აყვავებულ“ ეკონომიკას და სოციალურ ყოფას აქებს...

ნაციონალებმა და მიხეილ სააკაშვილმა სულაც ჯიბეში ჩაიდეს „რუსთავი-2“ და ათ წელიწადზე მეტია, ერის სულიერი და გონებრივი გარყვნის მთავარ იარაღად აქციეს.

თავად განსაჯეთ, „რუსთავი-2“ უნიჭოდ დადგმული პოლიტიკური სპექტაკლის „ვარდების რევოლუციის“ მთავარი იდეოლოგი გახდა. საკუთარ თავს კი გამარჯვებული ხალხის ტელევიზია უწოდა.

„რუსთავი-2“ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ერთმნიშვნელოვანი მეხოტბე იყო... იყო და არის.

„რუსთავი-2“-მა 2008 წლის სამარცხვინოდ წაგებული ხუთდღიანი ომის გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ, რამდენიმე თვეში ლაშა ხარაზიშვილის და ნათია კობერიძის მოდელირებული ქრონიკა გაუშვა ეთერში და ქართველი საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად დაზაფრა. ასობით ადამიანი გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. რამდენიმე მათგანი გარდაიცვალა კიდეც! ეს გადაცემა ანტიეროვნული შეფერილობის, ხალხის დათრგუნვის სატელევიზიო თავხედობა იყო.

**წმინდა წყლის თავხედობა და ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევაა თითქმის ყველა საინფორმაციო გადაცემა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ, რომელსაც დღეს გვთავაზობს ნაცებისგან კარგად დაფინანსებული, ხელისუფლებაში დაბრუნების ავადმყოფური ჟინით შეპყრობილი მიშისტების იმედით თავგასული ეს ცისფერი ეკრანი – ერის ფსიქიკის მოშლისთვის, ქართული ცნობიერების განადგურებისთვის გამიზნული პანდორას ყუთი.**

...გიგი იგულავას (უგულავას) დანაშაულობათა კასკადის გაშუქებისას „რუსთავი-2“ დღეში ცხრაჯერ იმეორებს ცრუ სიუჟეტებს. ბოლომდე ატლიკინებს გიგის, მის მხარდამჭერ ნაციონალებს, მეფულე ადვოკატებს და... ბალანსის „დაცვის“ მოტივით (ვითომ მაყურებელთან მართლები არიან), ორიოდე სიტყვას ოპონენტებსაც აძლევს. თუ გიგი იგულავას ხალხი ნახევარი საათის განმავლობაში გვაყრის თვალებში ნაცარს, „ქართული ოცნების“ ჯერჯერობით უნიათო წარმომადგენლები 2-3 წუთით „კმაყოფილდებიან“.

პატიმარ ვანო მერაბიშვილის მხარდასაჭერად გამიზნული სიუჟეტები ხომ მთლად უსამართლობის ცოდვის განდიდებაა...

ასე განსაჯეთ, ქართული სატელევიზიო იუმორის „მწვერვალის“ ვანო ჯავახიშვილის გადაცემაც კი, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, 90 პროცენტით მეტ დროს უთმობს „ოცნების“ კრიტიკას, ვიდრე მიშა-ვანო-გიგის თანამეინახეებისას!

რა თქმა უნდა, ასეთივეა „კომედი-შოუს“ ბიჭების ნამოღვაწარიც!

...ამ ათიოდე წლის წინათ ქართველმა ექიმებმა ჩვენს გაზეთში გამოაქვეყნეს ღია წერილი **„ერის ფსიქიკას გადარჩენა უნდა!“** რომელშიც ასეთი სტრიქონებიც არის: „თაობები სულიერ სიმშვიდეს პოულობდნენ და ახლაც პოულობენ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. წიგნი, თეატრი, მუსიკა უმრავლესობისათვის იყო სხვა სამყარო, სადაც ყოველდღიური პრობლემებისგან განიტვირთებოდნენ. ეს იყო გონებისა და სულის დასვენების საუკეთესო საშუალება. დღეს კი, მოგეხსენებათ, ტელევიზორი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და „საყვარელი აღმზრდელია“ ჩვენი საზოგადოებისა, ჩვენი შვილებისა. და ეს აღმზრდელი გამუდმებით უყვება ხალხს ათასგვარ „ზღაპრებს“ მკვლელობების, ძალადობის, საშინელებების შესახებ და კიდევ უარესი – პოლიტიკურ კოშმარებს ჩვენი რეალური ცხოვრებიდან“...

**ათი წელი... ბოლო ათი წელიწადი ნაციონალური კოშმარი ბობოქრობდა საქართველოში. ბოლო ათი წელიწადია, „რუსთავი-2“-ის სატელევიზიო კოშმარი გვირყევს ფსიქიკას, ზნეობრივად გვსპობს და გვანადგურებს!**

**როდემდე ვაპატიოთ მიშისტ ნაპროკურორალ-ნამინისტრალ, „რუსთავი-2“-ის მთავარსარდალ ნიკა გვარამიას ტელენაციონალებს ეს უმსგავსობა!**

**სპარტაკ ქოზულია**

დილემა?!



## დასევდიანებული სევდიას დასახმარებლად

**დილემას დაუსევდიანებია თბილისის ვიცე-მერი ქალბატონი სევდია უგრეხელიძე.**

რომელ დილემას?

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა დედაქალაქის საქალაქო სასამართლოს განაჩენი გიგი ი(უ)გულავასთვის მერის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

ჰოდა, აღმოჩნდა კიდეც „დილემის“ წინაშე „გადაულახავი წინააღმდეგობით“ დასევდიანებული სევდია უგრეხელიძე – **მერი თბილისის მოსახლეობამ აირჩია და ვინ და როგორ უნდა გაათავისუფლოსო!**

რჩევის მიცემას ვერ შეგკადრებთ, მაგრამ ერთი კი ძალიან გვაინტერესებს: **თუ ამ მარტივი ამოცანის „ამოხსნა“ არ შეგიძლიათ, ახალი მერის არჩევამდე როგორ უნდა უხელმძღვანელოთ დედაქალაქს, პატივცემულო ვიცე-მერო?**

**არჩევან რჩეულიშვილი**

## პროკურატურაში არ ცხადდება

**„ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი როლანდ ახალაია მოქალაქეების საჩივრების საფუძველზე გუშინ პროკურატურაში მეორედ იყო დაბარებული, მაგრამ არც ამ ჯერზე გამოცხადებულა.**

– რადგან ჩემს ოჯახს ხელისუფლება პოლიტიკურად დევნის, მოვითხოვ ჩემს მიმართ არსებული კითხვები საჯაროდ იქნას დასმული და მზად ვარ, საჯაროდვე გავცე პასუხი, – ამბობს იგი.

ინფორმაცია

## ევროკავშირიდან დამატებით 27 მილიონ ევროს მივიღებთ

**საქართველო ევროკავშირის ახალი ინიციატივის „მეტი მეტისათვის“ ფარგლებში დამატებით 27 მილიონი ევროს დახმარებას მიიღებს. შეთანხმებას 26 დეკემბერს მთავრობის კანცელარიაში ხელი მოაწერეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა.**

**ინიციატივა „მეტი მეტისათვის“ ევროკავშირის იმ პარტნიორი ქვეყნების დამატებითი ფინანსური რესურსებით მხარდაჭერას ითვალისწინებს, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს დემოკრატიული რეფორმების გატარების პროცესში.**

**როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, პროექტის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას სიღარიბის დაძლევისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესში.**

**თანხების ათვისება მოხდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის მეშვეობით, რომელიც მოხმარდება საქართველოში პროფესიული განათლებისა და გადამზადების და დასაქმების კუთხით მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების (განათლების და მეცნიერების სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) შესაძლებლობათა გაძლიერებას.**

**27 მილიონი ევროდან, 20 მილიონი ევრო საბიუჯეტო დახმარების სახით პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში იქნება მიმართული, ხოლო 7 მილიონი ევრო მოხმარდება ტექნიკური-საექსპერტო დახმარების პროექტების განხორციელებას.**

**საფინანსო შეთანხმების ხანგრძლივობა ხუთწლიანია.**

## როგორ დაიბრუნებს ფარცხალაძე საზოგადოების სიმპათიებს?!

**ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მთავარ პროკურორს ოთარ ფარცხალაძეს თანამდებობის დროულად დატოვებას ურჩევს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ცისკარიშვილმა განაცხადა, თანამდებობის დატოვების შემთხვევაში, იგი საზოგადოების ნაწილის სიმპათიებს დაიბრუნებს.**

**– ჩემი რჩევა იქნება, ნუ გახდის საკუთარ თავს ზედმეტი მსჯელობის საგნად და, რაც შეიძლება დროულად და ღირსეულად დატოვოს თანამდებობა. სხვა მხრივ, ვფიქრობ, რომ გვექნება კიდევ უფრო მეტი სპეკულაციები ამ თემაზე, რაც მთლიანად ჩვენს ქვეყანას დააზარალებს, – აღნიშნა ცისკარიშვილმა.**

**მისივე აზრით, ქვეყნისთვისაც უკეთესია, რომ მან დამოუკიდებლად მიიღოს თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება და არა იძულებით, ვინმეს კარნახით.**

**– ანალოგიურ სიტუაციაში ჩავარდნილი ადამიანი ჩემი ახლობელიც რომ ყოფილიყო, ასეთ რჩევას მივცემდი. სიტუაცია დამშვიდდებოდა. თუკი შეეცდება იგი არ შეელიოს საკუთარ სავარძელს, მით უფრო აზვირთდება ბრალდებები და ჭორ-მართალს კაცი ველარ გაარჩევს. იქნება საუბარი არა მარტო გერმანიაზე, იქნება საუბარი, ვისაც რაზე მოესურვება: ვინ მოუნათლა მას შვილი, იყო თუ არა თბილისშიც ნასამართლევი, მოახერხა თუ არა უმაღლესი განათლების მიღება და უამრავი სხვა, – აღნიშნა ექსპერტმა.**

**როგორც მან აღნიშნა, ფარცხალაძესთან დაკავშირებით ინფორმაციას რამდენიმე დღით ადრე თავადაც ფლობდა, თუმცა, მის სარწმუნოობაში ეჭვი ეპარებოდა.**

**ამასთან, სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ მთავარი პროკურორი დღეს უნდა ფიქრობდეს, როგორ განერიდოს ამ სიტუაციას და საკუთარი თავი პერსპექტივის მქონე პროფესიონალად შემოინახოს.**

## ი(უ)გულავამ თავისი თანამდებობა ბრჭყალებში ჩასვა

**სააპელაციო სასამართლომ უგულავას საჩივარი არ დააკმაყოფილა, – ამის შესახებ გიგი უგულავა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს. „პარტიზანული მოსამართლეობა გრძელდება. ცოტა ხნის წინათ ჩემს ადვოკატს ტელეფონით შეატყობინეს, რომ სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლის გვარიც კი არ ვიცი) ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება უფლებამოსილების შეწყვეტა, შეჩერება თუ გადაყენებასთან დაკავშირებით. ველოდები ზემდგომ თუ ზედამხედველ პროკურორს. მაინტერესებს კანონით როგორ უნდა მოხდეს აღსრულება. მე კი ბრძოლას საკონსტიტუციო სასამართლოში განვაგრძობ. ბედნიერ შობას და ახალ წელს გისურვებთ. თბილისის „მერი“ გიგი უგულავა, – აღნიშნულია უგულავას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**ინტერპრესი**

# ეს უკრაინული გზაა!

## თუ მთავრობამ საკუთარ შეცდომებზე არ ისწავლა, ეს ცუდი იქნება მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც

**„რა უსუსურად გამოიყურებოდა დღეს ხელისუფლების პოზიციები! გადახედეთ ყველა სატელევიზიო არხს! ვერც ერთ არხზე ვერ უწევენ მეტ-ნაკლებად მომგებიან ოპონირებას. თითქმის არც ერთი საზოგადოებრივად ცნობილი სახე მათ გვერდით ვერ თუ არ დგას ამ საერთო კაკაფონიაში. გააგრძელეთ ასე! რჩევა თქვენ არ გჭირდებათ, აზრის გაზიარება და პროფესიონალები! თქვენი თავი თუ არ გეცოდებათ, ხალხმა რა დააშავა, „ნაციონალების“ რევანშისთვის ასე ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ამზადებთ ნიადაგს?!“, — ასე ეხმაურება სოციალური ქსელით გენერალური პროკურორის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე, რომლის განცხადებით, მორალური და გამართლებული იქნებოდა, ქვეყანას ჰყავდეს ისეთი მთავარი პროკურორი, რომლის მიმართაც არ იქნებოდა ისეთი კითხვები, როგორიც მის მიერ ბრალდებულების თუ მსჯავრდებულების მიმართ. მისივე თქმით, აქ დგება საკუთარი პოლიტიკური გუნდის იმიჯის საკითხი და, როგორც თავად ამბობს, ენანება საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლება იმ იმიჯისთვის, რომელიც შეიძლება მას მიეკეროს ამ ხმაურიანი საქმის შემდგომ.**

**ამ ხმაურიანი საქმის დეტალებზე და მიზეზებზე For.ge ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა.**



**— რითი ხსნით თქვენს ბოლოდროინდელ კრიტიკულ პოზიციას ხელისუფლების მიმართ?**

— ეს არის ერთმნიშვნელოვნად გულშემატკივრის პოზიცია. არავისთვის არაა დასამალი, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამ ჩემი და ჩემნაირი ასიათასობით ქართული ოჯახი განადგურებას გადაარჩინა. მე ვიცი, რა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის წლები ჩემი ოჯახისთვის. მას შემდეგ, რაც პატარა მეყოლა, მთელი 5 წელი ვფიქრობდი ერთ რამეზე, — მე ძალიან პატარას გარდამეცვალა მშობლები, 5 წლიდან ბებია და დეიდა მზრდიდა და დიდი ალათობა იყო, რომ ჩემი შვილიც იგივე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ყოველთვის ვიდექით იმ საფრთხის წინაშე, რომ შესაძლო იყო, მე და ჩემი ქმარი ან მოვეკალით, ან სამუდამოდ ციხეში გავეშვით განსახვავებული პოლიტიკური შეხედულების ან იმის გამო, რომ ძალიან მაღალჩინოსან ნაციონალებს ჩემი ოჯახის ბიზნესის მიმართ ჰქონდათ ინტერესი, პირდაპირ რომ ვთქვათ წართმევა უნდოდათ.

ამის გამო, ჩვენ ყოველდღიური საფრთხის წინაშე ვიდექით და ყოველ დილას ვფიქრობდი - ჩვენ რომ რამე მოგვსლოდა, ჩვენი პატარა ვისთვის უნდა დაგვეტოვებინა. ასე ემოციურად და ასე დეტალურად მე ამ თემაზე არასოდეს მომიყოლია, ახლა ვლაპარაკობ თქვენთან პირველად ამის შესახებ, ჩემთვის ძალიან მძიმეა ამაზე საუბარი. ამიტომაც, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ის ხელისუფლება, რომელიც დატოვა ბიძინა ივანიშვილმა, ყოფილიყო წარმატებული. ამიტომ, ნებისმიერი შეცდომა, რომელსაც ეს ხელისუფლება უშვებს, ჩემთვის ძალიან მტკივნეულია და არა მარტო ჩემთვის, საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ამ ხელისუფლებას უკავშირებდა ძალიან დიდ იმედებს.

ნამდვილად არ მინდოდა, რომ ამ ხელისუფლების მოსვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ და არც მეგონა, რომ მომიწევდა ასეთი კრიტიკული ტონით გამოსვლა. თუმცა, ვფიქრობ, რომ დღეს ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ხელისუფლება დავაზღვიოთ იმ ტიპის შეცდომებისგან, როგორი შეცდომების კასკადად იქცა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9 წელი. ამიტომ, ჩემს მოვალეობად ვთვლი და ყველასი, ვისაც აქტიური პოზიცია უკავია სამოქალაქო საზოგადოებაში, რომ თავისი შეხედულებები და მოსაზრებები იმ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომელსაც ბოლო პერიოდში დგამს ხელისუფლება, ღიად გამოხატოს, რათა დავაზღვიოთ ხელისუფლება წარსულის შეცდომებისგან. „ნაციონალური მოძრაობის“ პირადი ტრაგედია, რაც ქვეყნის ტრაგედიად იქცა, გახლდათ ის, რომ არ ჰყავდათ იმ ტიპის ოპოზიცია, რომელიც მას ასეთ კრიტიკულ მომენტში მოქაჩავდა და შეცდომებისგან დააზღვევდა.

**— თქვენ თვლით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ საშიშროების წინაშე დგას?**

— რა თქმა უნდა, მასაც არ ჰყავს ისეთი მორალურად ძლიერი და ასევე პოპულარული ოპოზიცია, რომელიც ხალხის მასობრივი მხარდაჭერით ისარგებლებდა და რომელიც ამ ხელისუფლებას აიძულებდა, რომ მისთვის ანგარიში გაეწია.

**— თუმცა, ამ მხრივ ძალიან აქტიურია „ნაციონალური მოძრაობა“...**

— მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან აქტიურია, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ მას საზოგადოებაში არ აქვს მორალური მხარდაჭერა, ვერ გამოდგება იმ ოპოზიციად, რომელმაც შეძლება რეალური ოპონირება გაუწიოს ნებისმიერ ხელისუფლებას. ამიტომ, დღეს დღის წესრიგში დგას ახალი ოპოზიციური ძალის ფორმირება, ალბათ, უფრო საზოგადოებრივი მოძრაობის, რომლის მიზანი იქნება ხელისუფლება დააზღვიოს შეცდომებისგან და ეს ქვეყანა აარიდოს მორიგ კატაკლიზმებს.

**— როდესაც საუბრობთ ხელისუფლების შეცდომებზე, კონკრეტულად რა საკითხებს გულისხმობთ, სად დაუშვა ხელისუფლებამ შეცდომა?**

— დავიწყოთ ცოტა შორიდან, როდესაც ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ დაიწყო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელახალი დაკომპლექტება. თავისთავად ეს იწვევდა, სულ მცირე, გაოცებას და პროტესტს. რეალურად, ბევრი ფიგურა ახალ ხელისუფლებაში ნათესაობის, მეგობრობის, ნაცნობობის და ნათელ-მირონობის პრინციპით დაინიშნა, რამაც უკანა პლანზე გადასწია ახალი ხელისუფლების პროფესიონალებით შევსება. ჩატარდა პარტია „ქართული ოცნების“ ყრილობა და არც ერთი ახალი სახე ამ პარტიაში ვერ ვიხილეთ, ისევე როგორც ხელისუფლებაში.

ფაქტობრივად, ერთი პიროვნების თუ ერთი ოჯახის გარშემო შერჩეული ხალხი მოვიდა სათავეში, რომელთა პროფესიული გზა უცნობია. თავისთავად, ხელისუფლების დაკომპლექტების ამ ტიპის მიდგომები კარგს არაფერს მოიტანს. ჩანს შიში იმისა, რომ ხელისუფლებას ან ახალი სახეების ეშინია, ან კიდევ, მთლად უარესი, იმდენად არიან საკუთარ განუმეორებლობაში დარწმუნებულნი, მიიჩნევენ, რომ სხვისი აზრის, მათ შორის, პროფესიონალების მოსმენაც და გათვალისწინებაც არაფერში სჭირდებათ. და ეს ჩანს ყველგან.

**— რომ დავაკონკრეტოთ, რაში გამოიხატება, რომ ხელისუფლებას არ უნდა პროფესიონალების მოსმენა და მათი აზრის გათვალისწინებაც?**

— მე არ მაქვს არანაირი ურთიერთობა ამ ხელისუფლებასთან. მე რაზეც ვსაუბრობ, ეს არის გარედან მაყურებლის პოზიცია. შიგნით რა პროცესებია და რა ხდება, ამაზე ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა, ის, რაც გარედან ჩანს, საკმარისია იმ დასკვნებისთვის, რაზეც ახლა ვსაუბრობ. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდა იმისი განცდა, რომ მას ხვდებოდნენ და მის აზრს ისმენდნენ, ეს იყო გარღვევა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის შემდეგ, როდესაც თუნდაც, კრიტიკული, მაგრამ ხელისუფლების აზრის მოსმენის საშუალება ჩვენ გვქონდა არა მხოლოდ ტელევიზიის ეკრანიდან და რჩეული ჟურნალისტების მეშვეობით, არამედ პირდაპირ და უშუალო კონტაქტისას, თუნდაც ექსპერტულ საზოგადოებას, რომლის ქილიკი ბოლო დროს მოდად იქცა.

**— კონკრეტულად, ვინ აქცია ქილიკის საგნად ექსპერტული პოზიცები?**

— ხელისუფლების პოზიცია იყო ასეთი, რამაც შემდგომ მიიღო იგნორირების სახე. აქ იმაზე არაა საუბარი ვინმე ვინმეს შეხვდება და მოისმენს თუ არა. აქ საუბარია იმაზე, რომ, როდესაც ხელისუფლება უშვებს ამდენ შეცდომას შიდა პოლიტიკაში და როდესაც წინ გველოდება უმძიმესი წელი საგარეო პოლიტიკური და უსაფრთხოების კუთხით, ვერ ვხედავთ ვერანაირ მწყობრ ნაბიჯებს, ვერანაირ ტაქტიკას, ვერანაირ გაწერილ სტრატეგიას და ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება სრულ იგნორირებას უკეთებს საღ აზრს, გნებავთ, კრიტიკულს, ეს არაფერ კარგზე არ მიუთითებს.

უფრო კონკრეტული რომ ვიყო, დავიწყებ კადრების შერჩევის პრინციპით, რაც პირველი შეცდომაა და რამაც გამოიწვია შემდეგ დანარჩენი შეცდომები. იგივე მერაბიშვილის თემა, რომელიც ამტკიცებს, რომ გაიყვანეს საკნიდან და მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა. შემდეგ გაჩნდა ვერსია, რომ მერაბიშვილმა თავად გაუკეთა ამას ინსპირირება. თავად სთხოვა ხელისუფლებას, რომ ჩვენებას მოგცემთ, ოღონდ საკნიდან გამიყვანეთო. თუ ინსპირირება გაუკეთა და ამაზე ხელისუფელება წამოეგო, მთლად უარესი მისთვის, ორი შეცდომა და დანაშაული ჩაუდენია. თან გაბრიყვდა და თან ეს კანონიერად არ გააფორმა. კანონიერად გაფორმებულიყო მისი გაყვანა და დაკითხვა, რამე დაშავდებოდა?! შემდეგ იყო დიპლომის თემა და საოცარი კომენტარი პროკურატურის პრესსამსახურისა. ამას მოჰყვა უგულავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, რაც უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.

**— თუმცა, „ნაციონალური მოძრაობა“ თვლის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლა განხორციელდა მოსამართლეზე. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება პირდაპირ შეიძლება მივაწეროთ ზეწოლას?**

— პირდაპირ ვერ მივაწერთ იმას, რომ აქ აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლა განხორციელდა და იმიტომ გამოიტანა ასეთი განაჩენი სასამართლომ. აქ მე ჩემი პოზიცია მაქვს, იქნებ სულ არ განხორციელებულა აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლა, და იმ ქალმა, რომელმაც 14 წლის ბავშვს (ვგულისხმობ გვანცა ყუფარაძეს) 10-წლიანი, თითქმის, სასიკვდილო განაჩენი ისე გამოუტანა, რომ ხელი არ აუკანკალდა, ამ ადამიანს ყველაფერი შეუძლია გააკეთოს, ანუ ყველაფერზე ხელის მომწერმა ქალმა გააკეთა ის, რომ ეს გამხდარიყო ასეთი პოლიტიკური სკანდალის საბაბი, გამოვრიცხავთ ამას? რატომ გამორიცხავთ, რომ ეს გაკეთებულიყო სწორედ იმიტომ, რომ ამას მოჰყოლოდა მართლაც საერთაშორისო რეზონანსი? მოგეხსენებათ, რომ აშშ-ის ელჩს საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოუხატავს და რიჩარდ ნორლანდმა გიგი უგულავას გადაყენებაზე წუხილი გამოთქვა.

მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ, როცა ამტკიცებენ, რომ ხელისუფლების ზეწოლა განხორციელდაო, ამ ვერსიას რატომ გამორიცხავენ? არ შეიძლებოდა, რომ ამ ქალს ისევ იმის გამო, რომ მასზე უამრავი კომპრომატი ექნება „ნაციონალურ მოძრაობას“ შემონახული, ეს გაეკეთებინა? რატომაც არ შეიძლება, თუმცა, კიდევ ვამბობ, რომ ამის მტკიცება შეუძლებელია. როგორც ვერსიად, ესეც უნდა განვიხილოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ქალის ბრალეულობით მოხდა თუ არა, ფაქტია, რომ ხელისუფლება დარტყმის ობიექტად იქცა.

**— რა ვერ მოახერხა ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ამ სიტუაციიდან ღირსეულად გამოსულიყო?**

— ერთმნიშვნელოვნად წააგეს ყველა სატელევიზიო სივრცე და, რაც მთავარია, გამოჩნდა ხელისუფლების პოლიტიკის კიდევ ერთი შეცდომა. საზოგადოებრივად ცნობილი სახეებიდან მათი პოზიცია არავინ ან ვერავინ დაიცვა.

**— ეს მიანიშნებს იმას, რომ ხელისუფლება დისტანცირდება საზოგადოებსგან?**

— რა თქმა უნდა, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ხელისუფლების შიგნით მიდის გარკვეული გადანაწილებები. გავაკეთე კიდევაც ასეთი შედარება, რომ დღევანდელი სიტუაცია გარკვეულწილად მაგონებს მოქალაქეთა კავშირის წიაღში რომ ჟვანიასააკაშვილის ფრთამ ცალკე გამოყოფა დაიწყო. იგივე მდგომარეობაა დღესაც. ფაქტობრივად „რესპუბლიკური პარტიის“ გარშემოა შემოკრებილი მთელი სამოქალაქო საზოგადოება. აღმასრულებელი ხელისუფლება და ახალი პრემიერი კი ცალკე კუნძულზე დგას. მე არ ვამბობ, რომ რესპუბლიკელები იმავეს აპირებენ, რაც თავის დროზე ჟვანიასააკაშვილმა გააკეთეს, მაგრამ ფაქტია საინტერესო. როგორ არ აფიქრებს ეს სიტუაცია აღმასრულებელ ხელისუფლებას?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ადამიანების გარეშე არიან დარჩენილები, ვინც შეიძლება მათ საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოუპოვონ.

არ ვიცი, რითია გამოწვეული ეს ჩაკეტილობის პრობლემა, ან რა ძალა შეიძლება მათ ასეთი აღმოაჩნდეთ, რომელიც ამ უზარმაზარი ძალის კომპენსაციას გააკეთებს, როგორიც არის საზოგადოების მხარდაჭერა და, მათ შორის, საზოგადოებაში აქტიური ძალების მხარდაჭერა. მე ვერ ვხედები, რის იმედად არის დღევანდელი ხელისუფლება. უფრო მეტსაც ვიტყვი, ის, რაც ხდება დღეს, ძალიან ცუდად მოქმედებს თავად ბიძინა ივანიშვილის იმიჯზეც. როცა ხელისუფლება მისი მოღვაწეობის პირველივე თვეში ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილის იმედები ვერ გაუმართლდა.

**— გამოუცდელობის პრობლემაა?**

— გამოუცდელობის და არაპროფესიონალიზმის და იმისი, რომ არავინ არ სჭირდებათ, საკუთარ რიგებში საკუთარო ოჯახის მიერ დალობირებული პერსონების გარდა. არ მინდა, კიდევ უფრო გავშალო ეს თემა. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ მე არ მემეტება ეს ხელისუფლება. ვფიქრობ, ეს იმ ტიპის შეცდომებია, რომელთა გამოსწორება შეიძლება. იგივე გენერალურ პროკურორზე ჩვენი პატივცემული ხელისუფლება ამბობს, ხანდაზმულობის გამო, გაქარწყლებულია ეს საქმეო. მოდით, მაშინ, ასე დავსვათ შეკითხვა — უკრაინის პრეზიდენტი სამჯერ არის ნასამართლევი, მაშინ რა მოხდა თუ ჩვენი გენერალური პროკურორი ერთხელ იქნება ნასამართლევი?! უკრაინამ სამჯერ ნასამართლევი კაცი აირჩია პრეზიდენტად და რა გზას ადგას დღეს უკრაინა? გვინდა ჩვენ ეს გზა?

მართლაც გაოგნებული ვარ, პირდაპირ ვაცხადებ — ეს არის უკრაინული გზა, რომელიც დღეს რუსეთისკენ მიდის, ხოლო ჩვენ საით მივდივართ, ეს კიდევ ერთხელ დაადასტუროს ხელისუფლებამ. რომელი ევროპული ქვეყანა გააკეთებდა ამას, რასაც დღეს ჩვენ ვაკეთებთ? აქ არ დგას მარტო გერმანიის საკითხი, აქ დგას დიპლომის თემაც და მე თუ რამეს ვამბობ, როგორი კრიტიკული მოსასმენიც არ უნდა იყოს, ვამბობ იმიტომ, რომ ისინი გაითვალისწინებენ საზოგადოების კრიტიკულ პოზიციას.

ამ საზოგადოებას ერთადერთი რამ უნდა, რომ ქვეყანაში არ აირიოს სიტუაცა, ქვეყანა გადაურჩეს კატაკლიზმებს და დღევანდელი ხელისუფლება არ წავიდეს წინამორბედი ხელისუფლების განვლილი გზით. რასაც მე სოციალური ქსელით თვალს ვადევნებ, ძალიან კრიტიკული აზრი ისმის ამ ბოლო დღეების განმავლობაში, მათ შორის, ძალიან სერიოზული მხარდამჭერების მხრიდანაც. ძალიან არ მინდა, რომ ხელისუფლება დაძლიოს ცდუნებამ და დაიწყოს ამ ხალხთან ანგარიშსწორება. იმავე გზით მოისურვოს ამ ხალხის გაჩუმება, რა გზითაც აჩუმებდა „ნაციონალური მოძრაობა“.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ გენერალური პროკურორის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრება უკავშირდება იგივე, იმ გახმაურებული და რეზონანსული საქმეების გამოძიებას, რაზეც პასუხს წინა პროკურორისგან ითხოვდა საზოგადოება?**

— რა თქმა უნდა, ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ იმისთვის, რომ იგივე პროკურატურამ და ხელისუფლებამ დაიბრუნოს საზოგადოების ის ნდობა, რაც ჰქონდა ამ რეზონანსულ საქმეებამდე, მას გაცილებით მეტი ძალისხმევა დასჭირდება. მაშინ იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას, ვინც ეს მისი დიპლომთან თუ უდიპლომობასთან დაკავშირებული საკითხები გააჟღერა და ცილი დასწამა; და თუ ცილისწამებასთან გვაქვს საქმე, დაუსჯელი არც ერთი არ უნდა დარჩეს. დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება უნდა ჩატარდეს და დადასტურდეს, რომელი მხარეა მართალი. მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია.

**— რა უნდა გააკეთოს ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობამ იმისათვის, რომ არ გაიმეოროს წინამორბედის შეცდომები?**

— რაც მთავარია, შეცდომების აღიარების არ უნდა შეეშინდეს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან შეცდომების აღიარება მარტო ძლიერს შეუძლია. თუ ისინი ძლიერები არიან, მაშინ უნდა აღიარონ შეცდომები, მით უმეტეს, რომ საკადრო შეცდომები ყველას შეიძლება მოუვიდეს და არაფერი ტრაგიკული ამაში არაა. ამათ თუ ჰგონიათ, რომ საკადრო ცვლილებას თუ განახორციელებენ, ეს ნიშნავს, რომ მათ დაუთმეს საზოგადოებას და შემდეგ ეს საზოგადოება მათ თავზე დააჯდებათ, ცდებიან.

დაახლოებით ვხვდები, რა არგუმენტები აქვთ, როცა, როგორც იტყვიან, პრინციპულად აწვებიან პირველ ჩვენებას. ზუსტად იგივე არგუმენტები ჰქონდათ ნაციონალებს — ეს თუ დავუთმეთ საზოგადოებას, დამთავრებულია, მერე თავზე დაგვაჯდებიანო. იგივე გზით ხომ არ უნდა იარონ? საზოგადოებამ მოიყვანა ისინი და საზოგადოების აზრი უნდა გაითვალისწინონ. ძლიერი ხელისუფლების ნიშანია, როდესაც საკადრო თუ სხვა ტიპის შეცდომებს აღიარებენ და შემდეგ ამ შეცდომებს ასწორებენ. პირდაპირ გეუბნებით, საკუთარ შეცდომებზე თუ არ ისწავლეს, კარგს არაფერს ველი, არც საზოგადოებისთვის და არც ქვეყნისთვის.

**თამთა ქარჩავა**

# აქა ამბავი მორალისა და ნაცების მიერ დაჭერილი ყველაზე გრძელი კურდღლისა

**სუფთა სინდისს არც სიცრუის, არც ხმებისა და არც ჭორების არ ეშინია.**

**ოვიდიუსი**

**ამას** რას მოვესწარით: მართლაც არეულ და უცნაურ ეპოქაში, ნაცები მორალსა და სინდისზე ალაპარაკდნენ. ერთი ვაი-უშველებელი აქვთ ატეხილი, რა მორალური კოდექსებით ზის მთავარი პროკურორის „ტახტზე“ ბატონი ფარცხალაძეო. ზოგი თავსაც იზღვევს (წვრილფეხა ნაცობა მაქვს მხედველობაში), შეიძლება კანონით ჰქონდა უფლება, მაგრამ მძარცველ, ქურდობაში ბრალდებულ და ცამეტი წლის წინათ გერმანიაში გასამართლებულ ფარცხალაძეს მორალური უფლება არა აქვს ეს პოსტი დაიკავოსო. უნდა დარჩეს თანამდებობაზე ფარცხალაძე თუ არა, ამას კომპეტენტური და კანონში გაწაფული ხალხი გაარკვევს, ჩვენ უბრალო მოკვდავთ კი უამრავი კითხვა გვაქვს ნაცების მიმართ. პირადად მე მაინტერესებს, რა თანამდებობაზე მუშაობდა ფარცხალაძე ნაცების ზეობის დროს? რატომ დააჯილდოვა მიშა პრეზიდენტმა ფარცხალაძე და მისი ნასამართლეობის შესახებ მაშინ იცოდა თუ არა ბატონმა უგულავამ და მისმა დამქაშებმა, ახლა რომ ამაყად აფრიალებენ იმ ციხის ფოტოებს, რომელშიც თურმე ცამეტი წლის წინათ იჯდა ახლანდელი მთავარი პროკურორი? თუ იცოდნენ, რატომ ხმას არ იღებდნენ და თუ არ იცოდნენ, ესეც დანაშაულია. რაც შეეხება ფარცხალაძის თანამდებობაზე ყოფნასა და მორალურ ასპექტს – რა სინდისით ზის (კანონიერად თუ უკანონოდ) გერმანიაში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი კაცი ამ თანამდებობაზე, მეც მიჩნდება ისევ და ისევ ნაცების მიმართ კონტრშეკითხვები და არა ერთი.

დავიწყოთ ბატონი ბაქრაძით, უმცირესობის ლიდერით, რომელიც ნაცების პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში იყო მოკალათებული. როდესაც პრესა-ტელევიზიაში გაჟღერდა ფაქტი იმის შესახებ, თუ რამდენი ათასი გადაუხადა პარლამენტის „სალარომ“ მის ფეშენ-ვიკისტ მეუღლეს ტელეფონით საუბრებში და ამაზე ყურიც არ გაუბარტყუნებია ბატონ ბაქრაძეს, ნუთუ მაშინ არ შეაწუხა მორალმა? პატიოსანი კაცი დაიხურავდა ქუდს და იტყოდა – რაღაი ჩემს მშვენიერ მეუღლეზე რაღაც ეჭვები გაგიჩნდათ, მე არ მაქვს მორალური უფლება ამ თანამდებობაზე ვიყოო (ისე იმერლებმა იციან თქმა – მიწა გამსკდომოდა, ის მერჩივნაო). მორალზე თუ მიდგა საუბარი, არც ერთი პარლამენტარი არ უნდა შევიდეს ქუთაისის პარლამენტში, როდესაც იქ ეგულებათ სისხლისმსმელი, ჯაჭვლიანისაგან ამას წინათ მიჯირყვნილი ბარამიძე. არა აქვს მნიშვნელობა, მის გვერდით დაჯდები თუ იმავე დარბაზში. თუ მორალზე მიდგა საუბარი, იქნებ გაგვეხედა თარგამაძისკენ, რომელიც ჯერ კიდევ მომიტინგეთა სისხლით მორწყულ რუსთაველის პროსპექტზე, ცხოვრებაში პირველად ყურებამდე გახეული ლაფშებით იმუქრებოდა „სულს ამოგხდით სუყველასო“, იმ რუსთაველის პროსპექტზე, სადაც რამდენიმე საათით ადრე უმოწყალოდ ჩახოც-დააინვალიდეს ჩვენი თანამოქალაქეები პრეზიდენტის ბრძანებით, ახლა პატიმრადმყოფი მერაბიშვილის ხელისბიჭებმა და კბილებამდე შეიარაღებულმა ნაცზონდერებმა. საქართველოს პირველ მეხანძრე-პომპიერო გიორგაძეს სახანძრო მანქანების წყლის ჭავლით გადარეცხვაც ვერ მოესწრო პროსპექტისა, სადაც ომში კურდღელივით გამოქცეულ პრეზიდენტსა და მის ხროვას თავიანთი უნიათობით ჩახოცილ ათასობით საჯიშე ქართველის ცხედრების წინ სამხედრო აღლუმი უნდა მიეღოთ. მაშინ ეძინა მორალს, რომელიც არასოდეს ჰქონიათ და არც ექნებათ. რა მორალზე უნდა ისაუბროს მილიონების მიმთვისებელმა, ახლა ბრალდებულმა და თავისი პოსტიდან გადაყენებულმა გიგი უგულავამ, რომელმაც ერთი ჩალიმებით ჩაფარცხა თავისი მეუღლის აწყობა-გალამაზება-დაბერვაში მერიის ბიუჯეტიდან გადახდილი ათასობით დოლარის შესახებ გაჟონილი ფაქტები.

ნათქვამია – **თუ გინდა, უდარდელად გეძინოს, ლოგინში სუფთა სინდისი ჩაიყოლეო** – ეს დიდმა ამერიკელმა, ზოგიერთი რომ მასონთა მამამთავრადაც იხსენიებს, ბენჯამინ ფრანკლინმა განაცხადა საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ამათ, ნაცები მყავს მხედველობაში, მაშინაც არ ეძინათ მშვიდად, როდესაც განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდნენ, არ ეძინათ, რადგან სინდისი არ ჰქონდათ სუფთა და ყოველ დილას თვალებამღვრეულნი გვიმტკიცებდნენ – თქვენზე ზრუნვასა და ფიქრში ღამეებს ვათენებთო. არადა, რამ იცის უძილო ღამეები, თავადაც მოგეხსენებათ.

არც მაშინ უფიქრიათ მორალზე ნაცებს, როდესაც მათი პრეზიდენტი პრეზიდენტობის ბოლო დღეებს ითვლიდა და იმის ნაცვლად, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაფიქრებულიყო ამ ცხრა წლის მანძილზე ჩადენილი უზნეობისათვის როგორ მოვუხადო ქართველ ხალხს ბოდიშიო, იმაზე ფიქრობდა, დარჩენილ ორ-სამ დღეში რითი გავამწარო ხალხი და რა უკულმართობა ჩავიდინოო. და თავისი გადატრიალებული ტვინით ის მოიფიქრა, რომ „მაკდონალდსის“ სარეკლამო ფურცლებივით ათასობით ადამიანისათვის დაერიგებინა საქართველოს მოქალაქეობა, შემოდგომის ფოთლებივით მიმოეფანტა (ბევრისთვის დამსახურებულად) უღირსთათვის, მათ შორის მკვლელებისათვის, ათასგვარი ჩინ-მედლები, შეეწყალებინა ასობით მკვლელი, პედოფილი და ყაჩაღი. მის ხელქვეითებს ბოკერიებს, თარგამაძეებს, ბაქრაძეებს, ბარამიძეებს, წიკლაურებს, წერეთლებსა და ჩიორა-ნადირაშვილებს (კიდევ რამდენი არიან ეს უკეთურნი რა ჩამოთვლის...) ერთხელაც არ გახსენებიათ მორალი და არც უფიქრიათ ეთქვათ, თუნდაც კულუარებში გამოეხატათ პროტესტი, „ამას რას სჩადის მამა-მარჩენალი, ამორალურია ასეთი ქმედებაო“. შენც არ მომიკვდე, ამართლებდნენ კიდეც მის საქციელს.

მორალზე საუბარი ახლა გაახსენდათ ამორალურებს.

შევეშვათ ამორალთათვის მორალის კითხვას და ყველაზე სენსაციურ ვირეშმაკობას მივუბრუნდეთ. ამას წინათ ვწერდი – **ნაცები ისეთი ვირეშმაკები არიან, ორის ნაცვლად სამ კურდღელს იჭერენ და, ბოლოს და ბოლოს, სამში გრძელი ხომ მაინც შერჩებათ ხელში-მეთქი** (კურდღელი ვიგულისხმე, მაგრამ მკითხველს ბოდიშს მაინც მოვუხდი). ისე აგიხდათ ყოველივე კარგი, როგორც ვიწინასწარმეტყველე. თავს თუ არ შეგაწყენ, ჩემო მკითხველო, ერთ ძველ ამბავს გავიხსენებ. ოთხმოციან წლებში ერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდა. მკვლელი ვერ იპოვეს და სრულიად უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრეს მის ნაცვლად. ერთმა ჩემმა „ნახალოვკელმა“ მეზობელმა, რომელსაც ნახევარი ცხოვრება ციხე-გადასახლებებში ჰქონდა გატარებული, „ბირჟაზე“ გვითხრა – ეგ კაცი მკვლელი ვერ იქნება, სულ სხვა არის დამნაშავეო. მაშინ „მუსტოს“ ნათქვამს ყურადღება არ მივაქციე, ჩემთვის კი გავიფიქრე, ათას კრიმინალს იცნობს და, ალბათ, საიდუმლოდ, სანდო ქსელიდან იცის მკვლელი ვინც არის-მეთქი. გავიდა ორი წელი და მართლაც დაიჭირეს ნამდვილი დამნაშავე. „მუსტო-ჯან, საიდან იცოდი უდანაშაულო კაცი რომ დაიჭირეს-მეთქი“. ჩაეღიმა,



შვილო, რაც ციხიდან გამოვედი, ჩემი საქმე დეტექტივების კითხვაა (მართლაც მისთვის საიდან არ ჩამოჰქონდათ წიგნები, რუსულად კითხულობდა და წაკითხულს მეც ხან მჩუქნიდა, ხან მათხოვებდა ხოლმე), ტელევიზორშიც მარტო მაგას ვუყურებ და ცხოვრებაშიც ათასი ჯურის კაცი მყავს ნანახი. ვიცი მკვლელის ფსიქოლოგიაც და უდანაშაულო კაცისაცო.

რატომ გავიხსენე ეს ძველი ამბავი? მთელი ბოლო ცხრა წელი და ნაწილობრივ მანამდეც, იმდენი ვირეშმაკობის მომსწრე გავხდი და ტყუილუბრალოდ იმდენი ჩემი ნაცნობ-მეგობარი აღმოჩნდა ნაცების „წყალობით“ გისოსებს მიღმა, რომ მათი ფსიქოლოგია (ნაცების მაქვს მხედველობაში) ზედმიწევნით არამარტო მე, ჟურნალისტმა, შევისწავლე, არამედ საქართველოს მოქალაქეთა 80 პროცენტმა ზეპირად იცის. ასე რომ, მათი ვირეშმაკობები ყველას შეგვიძლია გავხსნათ. დავიწყოთ იმით, რომ ბრალდებულმა და პატიმრობაში მყოფმა მერაბიშვილმა ქუთაისის სასამართლოში ისეთი სენსაციური განცხადება გააკეთა, რომ წესით და კანონით ხალხი პირდაღებული უნდა დარჩენილიყო. მე არ გამკვირვებია და აი რატომ. ყოველთვის ველოდი (ტიგრანასი არ იყოს „თეთრი ბაირაღებიდან“ – ფურუნკული რომ იყავი კი ვიცოდი, მაგრამ, როდის გასკდებოდი ეგ კი არაო) როდის წავიდოდნენ შანტაჟზე ნაცები. ღამით ციხეებიდან გაყვანა და პატიმრებზე ზეწოლა სასურველი ინფორმაციის მისაღებად, ნაცებს არც უნდა გაკვირვებოდა და არც ხალხს, რადგან ეს ხომ მათი მეთოდი იყო. გემახსოვრებათ ღამით ხალხის დაწიოკება, ქონების „გადაფორმება-გაჩუქება“, პატიმრების სასიკვდილოდ გამეტება და ა. შ. არაფერი საოცარი არ არის იმაში, გენპროკურორი მსჯავრდებულ თუ ბრალდებულ მერაბიშვილს ღამით გაიყვანდა თუ დღისით, მაგრამ, როგორც ამბობენ, და მე სარწმუნოდაც მეჩვენება, თავად მერაბიშვილის თხოვნით მიიყვანეს ის ღამით ფარცხალაძესთან. რატომ ღამით? იმიტომ, რომ სათვალთვალო კამერებს დაეფიქსირებინათ მერაბიშვილი, რაც მხოლოდ და მხოლოდ მერაბიშვილს აწყობდა და არამცდაარამც პროკურატურას. რახან გაიყვანეს, ესე იგი მერაბიშვილმა დაარწმუნა ისინი, რომ მეტად საინტერესო ინფორმაციას მიაწვდიდა მათ. პროკურორისა თუ მისი ხელისუფლების სულწასულობით, ანკესზე წამოეგნენ და საინტერესო ინფორმაციას დახარბებულნი აჩქარდნენ. გამორიცხული არც არის, რომ მერაბიშვილს თავად მოეთხოვა, გინდა თუ არა ღამით გამიყვანეთ და ისიც უჩუმრად, რომ არ იფიქრონ მე ვიყავი თუ სხვაო. ამით ნაცებმა ერთი კურდღელი დაიჭირეს. რა თქმა უნდა, დააფიქსირებდა სათვალთვალო კამერები თავზე ტომარაჩამოფხატული მერაბიშვილის საკნიდან გაყვანას. მაგრამ გამოუცდელმა პროკურორმა, რატომ არ ჩაიწერა მისი სატელეფონო საუბარი?) (იქნებ ჩაწერილიცაა და საქმის ძიებიდან გამომდინარე, არ ასაჯაროებენ?) მეორე კურდღელი ნაცებმა მაშინ დაიჭირეს, როდესაც სათვალთვალო კამერის გახსნა მოითხოვეს (არ დაგავიწყდეთ და მერაბიშვილმა ეს სენსაციური განცხადება ოთხი დღის შემდეგ გააკეთა).

რატომ მაინცადამაინც ოთხი დღის შემდეგ, როცა თავისი კომპიუტერის წყალობით ნებისმიერ საკითხზე აკეთებს კომენტარებს და განცხადებებს. იმიტომ, რომ დაელოდა მოვლენების განვითარებას, აინტერესებდა მართლა დააკავებდნენ თუ არა იმ „ოქროს მოწმეს“, რომელიც მან იმ ღამით, ტომარაჩამოფარებულმა ჩაუშვა, მისი თქმით ძალიან ნაცნობ კაბინეტში, ანუ იქ, სადაც „მოტაცების“ შემდეგ მიიყვანეს. მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ ბატონი სუბარი და მისი ხელქვეითები. რა თქმა უნდა, მათ ნანახი ექნებათ ეს კადრები და არ იცოდნენ რა ეპასუხათ ახუნტრუცებული ნაცებისათვის. ამ დროს ფარცხალაძესაც „უჩქმიტეს“ – კანონი დაარღვიაო. ხალხის თვალში გამოჩნდა, რომ ისევ ძველებურად ირღვევა კანონი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, პროკურატურაში და მთავრობაში. აწკაწკავდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები – ვაი, რა ხდება ჩვენს თავს, ვაი, ევროკავშირში არ მიგვიღებენ, ვაი, კანონებსა და ადამიანთა უფლებებს არღვევენო. და დაიჭირეს ნაცებმა მეორე მსხვილი კურდღელიც, მაგრამ ისინი ხომ გაუმაძღრები არიან და რაც მეტს დაიჭერენ, ის უფრო ურჩევნიათ (გითხარით კიდეც ორის მაგივრად სამის დაჭერას აპირებენ-მეთქი).

რა მოჰყვა მერაბიშვილის სენსაციურ განცხადებას? რა მოჰყვა და მეორე დღესვე თანხის უკანონო მითვისების ბრალდებით დააპატიმრეს კობა ხარშილაძე და ლაშა ფურცხვანიძე. აგორდა „გრინსერვისის“ საქმე. სასამართლომ ორივე 400-400-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გამოუშვა. მაგრამ ბატონი ხარშილაძე სააპელაციო სასამართლომ საპყრობილისთვის გაიმეტა, რადგან თურმე ქვეყნის დატოვება და მიმალვა ჰქონდა ჩაფიქრებული, ბილეთებიც კი ჰქონია დაჯავშნილი.

ატეხეს ნაცებმა კვლავ ვაიუშველებელი, ერთი თუ გირაოთი გაათავისუფლეს, მეორე რატომ ჩასვესო. ჩვენ ვიცით, რაშიცაა საქმე – ხარშილაძე გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი იყო, ჟვანიას საქმის გახსნა სურთ და იმისთვის ჩასვეს, თორემ „გრინსერვისი“ და ბუჩქების დასარგავად მოპარული მილიონები რა სახსენებელიაო. ატეხეს და რა ატეხეს. თან თბილისის მერს უფლებამოსილება შეუწყვიტეს, ხომ ხედავთ, ეს ოთარ ფარცხალაძე რამდენს ბედავსო და გაახსენდათ – ეს ის ფარცხალაძე ხომ არ არის, ცამეტი წლის წინ გერმანიაში ყაჩაღობისთვის რომ ჩააყუდესო?! გაახსენდათ და ააფრიალეს კიდეც მოძიებულ-გამზადებული საბუთებ-ფოტოები. ახლა, ხომ მაინც მოვიშორებთ თავიდან ამ ურჩ ფარცხალაძეს – ჯერ იყო და რასმუსენთან მოგვჭრა თავი და ტარაკნებს, რომ „დომესტოსით“ დაერევიან ისე დაგვერიაო. ახლა თბილისის მერს „მოუხაზა“, ისიც კი გაბედა, ამ ნაყაჩაღარმა კაცმა, რომ ჩვენი ვანო უძლეველი ტომარაჩამოფარებული შუა ღამით წააცუნცულაო თავისთან. დაიჭირეს მესამე კურდღელი და... გავედით ბოლოში. სამი კურდღლის დამჭერს ხელში მხოლოდ სამში გრძელი შერჩათ-მეთქი ეს თავშიც მოგახსენეთ (კურდღელი მაქვს მხედველობაში). რა შერჩათ ხელში ნაცებს? დაჭერილი ხარშილაძე, ბატონი კობა. ახლა ამტკიცე „გრინსერვისი“ არის თუ პრემიერის მკვლელობა-გარდაცვალება მისი დაპატიმრების საბაბი. ამას უკვე სხვები გაარკვევენ, მაგრამ... რჩება ერთი მაგრამ, როგორც „ნახალოვკელი“ მუსტო იტყოდა – ვანოს ჩაშვებულია ეგ ტიპიო. ისე „მუსტოს“ სული აცხონოს ღმერთმა და ასეა ეს. ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ვანოს ღამისეული ვიზიტი და ხარშილაძის გასკვანჭვა ერთმანეთს. არაა ვანო ის კაცი, ციხეს გაუძლოს, წინ იხედება ეგ გაღლეტილი (ეს მიშას მიერ შერქმეული თიკუნია, აბა მე როგორ ვაკადრებდი დიდ ვანოს ამას).

ჟურნალისტურ ხრიკს ვიხმარდი და ვიტყოდი – „სანდო წყარომ მომაწოდა ეს ინფორმაცია და უფლება მაქვს არ გავცე-მეთქი“, მაგრამ გულახდილად გეუბნებით, რომ ნაცების ცხრაწლიანი ვირეშმაკობების, მათი სინდისისა და მორალიდან გამომდინარე ვამბობ ამას, თორემ ფარცხალაძის დამცველი და გუნდრუკის მკმეველი არ გახლავართ, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ვერ ვიტან ამ უკულმართ ნაცებს. სწორედ ვანომ „ჩაუშვა“ კობა, ნაცების ენით რომ ვთქვათ, სანამ დააკაჩავებდნენ.

რაც შეეხება ვანოსა და სხვა ნაცების მორალს, ამაზე დიდმა ლევ ტოლსტოიმ ბრძანა – **ხშირად ადამიანები ამაყობენ საკუთარი სინდისით, რადგან ისინი მოკლე მეხსიერებას ფლობენ.**

ასე რომ, სამი კურდღელი კი დაიჭირეს, მაგრამ სამში გრძლად ჯერჯერობით ზურაბ ჟვანიას ყოფილი დაცვის უფროსი კობა ხარშილაძე შერჩათ. ეს კი რამდენ რამეს მოფენს ნათელს, მით უმეტეს „ნაყაჩაღარი“ გენპროკურორი შეგვპირდა, თებერვლამდე (იმ ავბედით დღემდე როდესაც პრემიერი გაურკვეველ ვითარებაში „გარდაიცვალა“) ეს საქმე გაიხსნებაო.

**მამუკა ვაშაკიძე**

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია

# საქართველოს ხელისუფლებასა და ბიზნესს მოუწოდებენ, ნუ გახდებით მედიის რომელიმე საშუალების ლობისტიო

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (უსფ) წევრმა, საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელმა ასოციაციამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელიც სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემაზე პასუხისმგებელი ორგანოა, წელს ლიცენზია მიანიჭა „ენერჯი გრუპს“, რომელიც საჯარო მოხელის, საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდენტის, კახა ბაინდურაშვილის თანამფლობელობაშია.

ლიცენზიის მოპოვების ერთ-ერთი მსურველი და კონკურსის მონაწილე იყო დამოუკიდებელი კომპანია „რადიო ჰერეთი“, რომელმაც კონკურსის შედეგები გააპროტესტა და სალიცენზიო გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. დეკემბერში კი დამოუკიდებელმა კომპანიამ კომუნიკაციების კომისიას გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდა.

ვიდრე კომუნიკაციების მარეგულირებელში დუმდნენ, მომხდარზე მყისიერი რეაქცია მოახდინა ჟ.ს.ფ-მ. „ჰერეთის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით ჟურნალისტთა საერთაშორისო კრებული უაღრესად შეშფოთებულია სამაუწყებლო ლიცენზიებისა და სარეკლამო კონტრაქტების ისეთი ორგანიზაციებისათვის გადაცემით, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მთავრობის ოფიციალურ პირებთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

**საჯარო ორგანოს მიერ მედია ლიცენზიის მთავრობის წარმომადგენლებთან დაკავშირებული ორგანიზაციებისათვის გაცემა არის პირდაპირ გამოხატული ინტერესთა კონფლიქტი და მაუწყებლობის შესახებ კანონის უხეში დარღვევა** — ნათქვამია ჟსფ-ის პრეზიდენტის **ჯიმ ბუბელას** განცხადებაში, რომელსაც ავრცელებს დამოუკიდებელი რადიოკომპანია.

საერთაშორისო ფედერაცია ასევე მიანიშნებს საქართველოს ბაზარზე რეკლამის გადანაწილების სამართლიანობის აუცილებლობაზეც. იქვე ისიც არის ხაზგასმული, რომ **ხელისუფლებამ არ უნდა მიანიჭოს მთავრობასთან ასოცირებულ ჯგუფებს რეკლამის დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება.** ფედერაცია იმასაც აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მედიასაშუალების პოლიტიკური ჯგუფების მიერ სუბსიდირება ზიანს აყენებს დამოუკიდებელი მედიის განვითარებას. ბაზარზე კონკურენციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ყველა რეკლამა განაწილდეს სამართლიანად, ყველა მედია ორგანიზაციაში და არა მხოლოდ იმ ერთეულებში, რომლებშიც პოლიტიკური ფიგურებიც არიან ჩართულნი, რადგანაც სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზაცია არის არაეთიკური და უსამართლო. — „ჰერეთის“ ინფორმაციით, აცხადებს ჟსფ-ს გენერალური მდივანი **ბეტ კოსტა**.

როგორც დამოუკიდებელი რადიო კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა ჟურნალისტთა უმაღლესი საკრებულო ორგანო კომისიის მიერ წესების უგულებელყოფის გათვალისწინებით, ჩვენს მთავრობას მოუწოდებს, ჩაერთოს IAGJ კომუნიკაციების კომისიაში, რათა უზრუნველყოს მეტად დაბალანსებული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. ჟსფ ასევე მოუწოდებს საქართველოში დასაქმებულ ბიზნესმენებს, შეაჩერონ მთავრობასთან ასოცირებული სამაუწყებლო არხების მხარდაჭერა და გვერდში დაუდგნენ დამოუკიდებელ მედიას.

ასევე „ჰერეთის“ ინფორმაციით ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს კომუნიკაციების კომისიის კანონთან შესაბამისი მუშაობა.

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ კომისიას წინა ხელისუფლების დროს (განსაკუთრებით პირველი ოქტომბრის არჩევნების წინ) ერთი დღეც არ უმუშავია კანონთან შესაბამისობაში. რაც შეეხება კონკურსში დაჩაგრულ (ყოველ შემთხვევაში „ჰერეთი“ თავს აშკარად მიიჩნევს) რადიოკომპანიის გაბედულ ნაბიჯს აპელირებისათვის ჟსფ-ისთვის მიმართვაზე, სააკაშვილის დროს ამას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა, ხოლო საერთაშორისო ფედერაციის პასუხი ლამის ღალატად. დღეს სხვაგვარადაა, მაგრამ თუ მთავრობამ ქმედითი ღონისძიებები არ გაატარა, საერთო ჯამში შეიცვლება რამე?

SIC!

# „მატყუარა“ რძე

**წლების განმავლობაში საკვები პრდუქტების მწარმოებლები თავის ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. მათი ნაწარმის ხარისხი არ კონტროლდებოდა. საერთოდ უგულებელყოფილია საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი რეგულაცია.**

საქართველოს ბაზრის 90 პროცენტი უკავია პროდუქციას, რომლის ეტიკეტზე მითითებულია, რომ წარმოადგენს რძის ნაწარმს. სინამდვილეში კი პროდუქცია მცენარეულ ცხიმებზეა დამზადებული, ამბობს „საქართველოს სტრატეგიული და მეცნიერული კვლევების ცენტრის“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კოორდინატორი ლია თოდუა და



ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ამგვარი პროდუქტი რძის ნაწარმის დასახელებით არ უნდა იყიდებოდეს. თუმცა, ეს ნორმა საქართველოში არ არსებობს და ქართველ მომხმარებელს ნამდვილის ფალსიფიცირებულისაგან გარჩევის შესაძლებლობა არა აქვს. მართალია ეს მავნე ტრადიცია ახალ ხელისუფლებას ძველისაგან ესტაფეტად ერგო, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებისაკენ არც „ქართული ოცნებით“ დაკომპლექტებულ მთავრობას გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები — გულისტკივილით აღნიშნავს „კვლევებისა და განვითარების“ ცენტრის პასუხისმგებელი პირი. იგი იქვე განმარტავს, რომ **რძის პროდუქტებად გასაღებულ სურსათს, პალმისა და რაფსის ზეთისაგან ამზადებენ**. საქართველოში კი, აკონკრეტებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კოორდინატორი, არ არსებობს ლაბოარტორია, რომელიც დაადგენდა მცენარეული ზეთის წარმომავლობას.

**მომხმარებელმა უნდა გაარჩიოს ნამდვილი რძის პროდუქტი და ის, თუ რა აჭამოს ბავშვს** — განაგრძობს თოდუა და ხსნის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. **ზეთზე დამზადებულს რძის პროდუქტი არ უნდა ერქვას. და უნდა არსებობდეს შესაბამისი რეგულირება, რაც არც წინა ხელისუფლების დროს გვქონდა და არც ახლა გვაქვს. აღნიშნული საკითხისადმი ამჟამინდელი მთავრობის გულგრილი მიდგომით კოორდინატორი აღშფოთებულია. იგი ამბობს, არაფერი კეთდება, რადგანაც უუნაროები არიანო. თოდუას ორგანიზაციას მოუმზადებია პეტიცია, რომლითაც მიმართავს პარლამენტს, რათა კანონმდებლობის დონეზე მოაწესრიგოს პრობლემა. საჭიროა, აიკრძალოს ბაზარზე მატყუარა რძის პროდუქტების გამოტანა, რათა ჩვენი მომხმარებელი კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდეს მოტყუებულის როლში,** — ასკვნის ლია თოდუა.

პრობლემა ცნობილია, პრობლემა მოუგვარებელია, მოვალეობა ნათელია სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ინფორმაციული უზრუნველყოფის და მომსახურების დეპარტამენტის უფროს გიგა ქურდოვანიძისთვის. მას ესმის მომხმარებელთა წუხილი მუდმივად მოტყუებულის როლში ყოფნის გამო, ასევე ისიც, რომ პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო არ უნდა იყოს, მაგრამ სტანდარტების არ არსებობის გამო საკითხი დადებითად ვერ წყდება.

ქურდოვანიძე განმარტავს სურსათის სააგენტოს პრეროგატივას, რომ მისი უფლება-მოვალეობაა შეამოწმოს ამა თუ იმ პროდუქტის უვნებლობა, ხარისხი. კომპანიებს აქვთ შიდა სტანდარტები, სადაც მითითებულია თუ რა სახის ინგრედიენტებისგანაა დამზადებული ესა თუ ის პროდუქტი. და მეწარმე ვალდებულია, ამის მიხედვით გამოუშვას ნაწარმი. სააგენტოს თურმე ხელს უშლის სტანდარტების არარსებობა. ქურდოვანიძის განმარტებით, ისინი ბევრს მუშაობენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით და იმედოვნებენ, რომ პრობლემები ნელ-ნელა გადაწყდება.

„მართლაც ბევრს მუშაობენ“ — აცხადებენ ექსპერტები. ეს „ბევრი მუშაობა“ 2012 წლის დეკემბრიდან დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა. სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საქართველოდან ექსპორტის შემაფერხებელ ძირითად ფაქტორად სწორედ სურსათის უვნებლობის სუსტი კონტროლი, სურსათის მწარმოებლის მიერ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის დაბალი მაჩვენებელი სახელდება. არადა ცოტა ხნის წინათ ევროკავშირთან ხელმოწერილი დოკუმენტი ჩვენი ხელისუფლებისგან სწორედ ამ კუთხით გადადგმული სწრაფი და ეფექტური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

**ზაზა ბილიხოძე**

შინ ორმოს მთხრელთა გასაგონად

# „რამ შეგაძულათ, თქვით, საქართველო?!“

**მარქსი ამტკიცებდა, რომ პროლეტარს სამშობლო არ აქვს. მე გეკითხებით ჟურნალისტს სამშობლო აქვს?!**

**თუ კი ერისათვის ნამდვილად გული გერჩით, მოგიწოდებთ, არა მარტო შემოსავალზე იზრუნოთ და შეკითხვები არა მარტო მეათეხარისხოვან ფაქტებზე, არამედ ერის გადარჩენის გზებზე და საშუალებებზე დასვათ.**

**ახალმა ხელისუფლებამ სამ ჩვენს მეზობელს საქართველოს სამი ნაწილის მიტაცების გეგმა ჩაუშალა. ასეთი გეგმის ჩაშლა მათთან ალიანსში მყოფ ეროვნებაჩარეცხილ შინაურ მტრებს (სააკაშვილის „თამადობით“) აძლევს ხელს.**

**მათ ხომ ჩვენი ერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი 32 უმსხვილესი ობიექტი 2004 წლიდან რუსეთის საჯარო-კერძო კომპანიებს ფაქტობრივად მიჰყიდეს, რითაც რუსეთს საქართველოს ეკონომიკურ ოკუპაციას ხელი შეუწყვეს;**

**მათ ხომ ხელისუფლების მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთი ალადგინეს, და მას ახალგორი, ხოლო აფხაზეთს კოდორის ხეობა მიუერთეს, და რუსეთს ამ რეგიონების პოლიტიკურ ოკუპაციას ხელი შეუწყვეს;**

**მათ ხომ პარლამენტი ქუთაისში, დედაქალაქის იქ გადატანის პერსპექტივით, გადაიტანეს, რაც ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ისტორიული ოცნების ახდენას ემსახურებოდა;**

**მათ ხომ თურქეთის მიერ აჭარის მიტაცების გაადვილების მიზნით აჭარაში 35 ათასი თურქი ჩაასახლეს და მათ ნაწილს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭეს;**

**მათ ხომ აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნულ უმრავლესობასთან მომავალი პოლიტიკური თანაარსებობის დამყარების მიზნით, სამეგრელოში კუთხური სეპარატიზმის გაღვივება დაიწყეს.**

**მათ ხომ უდანაშაულო ახალგაზრდები ჩახოცეს, პატიმრები აწამეს და გააუპატიურეს, შვიდ ნოემბერს და ოცდაექვს მაისს მოშიმშილეები და მშვიდობიანი მომიტინგეები უმოწყალოდ დაარბიეს;**

**მათ ხომ ამომრჩეველთა მოსყიდვის, საარჩევნო უბნების დარბევისა და საარჩევნო ყუთების გატაცების გზით არჩევნები სისტემატურად გააყალბეს;**

**მათ ხომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში პროფესორ-მასწავლებელნი დაარბიეს, ხოლო შემდეგ შენობიდან გამორეკეს, რისი ანალოგი მსოფლიოს ისტორიისათვის უცნობია;**

**მათ ხომ საშუალო და უმაღლესი განათლების სრული კოსმოპოლიტიზაცია მოახდინეს და მსოფლიოში აღიარებული სამეცნიერო ცენტრები გააუქმეს;.**

**მათ ხომ 9 წელიწადი ქვეყანა გარყვნილების, სიცრუისა და ორპირობის მორევში ატრიალეს;**

**მათ ხომ მკვიდრი მოსახლეობა ისეთ ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ სამშობლოს დატოვება აიძულეს, ხოლო ქვეყანა დემოგრაფიულ უფსკრულამდე მიიყვანეს.**

**ქართველი ერის დაუძინებელი მტრების: ნაცმოძრაობისა და მათ „წითელ თუმნიანებზე“ სულმიყიდული მხარდმჭერების მიმართ ზედგამოჭრილია დიდი აკაკის მრავლობითში გარდასახული სიტყვები:**

**„ფარისეველნო, გაუტანელნო!**
**სხვასთან თავმხვრელნო,**
**შინ ორმოს მთხრელნო,**
**ნაგავის მჭრელნო,**
**თქვე ჭრელო გველნო,**
**რამ შეგაძულათ,**
**სთქვით, საქართველო?!“**

**ბიძინა სავანელი**

სამწუხარო რეალობა

# ბიუჯეტჭამია იუჯგულაველები

## თბილისის მერიამ რესტორნებსა და ბარებში 484 255 ლარი დახარჯა

**დედაქალაქის მერიამ მოწვეული სტუმრებისთვის სხვადასხვა რესტორანსა და ბარში ვახშმებისა და ფურშეტების მოწყობაზე — 484 255 ლარი დახარჯა, მობილური კავშირით მომსახურებაზე - 493 905 ლარი, ხოლო მერიის ვებგვერდის ტექნიკური, ვიზუალური და საინფორმაციო მომსახურებისთვის — 1 555 326 ლარი.**

**ალნიშნულ ხარჯთაღრიცხვაზე საუბარია თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ მომზადებულ მასალებში, რომლებიც რეაგირების მიზნით მთავარ პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნება.**

კომისიას შესწავლილი აქვს თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2012 წლის 1 იანვრიდან, 2013 წლის 1 ივლისამდე პერიოდის საფინანსო საქმიანობა და for.ge-ის მიერ ექსკლუზიურად მიპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გიგი უგულავას ხელმძღვანელობის პირობებში, მერია არამიზნობრივად ხარჯავდა კოლოსალურ თანხებს.

**მასალებით ირკვევა, რომ ქალაქგაფორმებით ღონისძიებებზე დახარჯული 2 519 670 ლარიდან — 835 452 ლარი გაწეულია არამიზნობრივად.**

**ამასთან, დოკუმენტების თანახმად, „თბილსერვის ჯგუფის“ 1 500 000 ლარის კაპიტალის გაზრდის მიზნით, დაფინანსებიდან, რომელიც ნოემბერ-მარტში დასუფთავების ტარიფების შემცირების შედეგად კომპანიის შემცირებული შემოსავლების შევსებისა და ქალაქის დასუფთავების მიღწეული დონის შენარჩუნებისთვის გამოიყო, 900 000 ლარის ხარჯი არამიზნობრივად არის გაწეული.**

ასევე, კომისიაში მიიჩნევენ, რომ თბილისის მერიის ბიუჯეტიდან „112“-ისთვის ქონების შეძენის მიზნით, არამიზნობრივად დახარჯულია — 2 032 500 ლარი, რადგან მათი შეფასებით, ხარჯი შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან უნდა გაწეულიყო.

კომისიის ცნობით, ტელეკომპანიებში — „რუსთავი-2“-სა და „იმედის“ სარეკლამო რგოლების განთავსების მომსახურებისათვის გადახდილია 1 980 873 ლარი. თუმცა, მათი მტკიცებით, არაერთი თხოვნის მიუხედავად, არ არის წარმოდგენილი მედიაგეგმა, რომელიც ნათელს გახდის, რა პერიოდულობით, რა დროს და რა მოცულობით გასწია მომსახურება მომწოდებელმა და ასევე რა ღირს ერთი წუთი.



**„ჟურნალში რეკლამის განთავსების მომსახურებასთან დაკავშირებით, უკანონოდ და არამიზნობრივად არის დახარჯული 44741 ლარი“**, — მიიჩნევენ კომისიაში.

ალსანიშნავია, რომ კომისიას საეჭვოდ მიაჩნია ვებ გვერდის - www.tbilisi.gov.ge-ს ტექნიკური, ვიზუალური და საინფორმაციო მომსახურებისთვის განკუთვნილი — 1 555 326 ლარის ხარჯიც. ამას გარდა, კომპანიას საეჭვოდ მიაჩნია ის ხარჯებიც, რაც 167 ავტომანქანის ტექნიკური მომსახურებისთვის მიეცათ შპს—ებს და კომისიაში ვარაუდობენ, რომ ამ არამიზნობრივი და დაუსაბუთებელი ხარჯების ნაწილი პარტიულ მიზნებს მოხმარდა.

ასევე კომისიაში ვარაუდობენ, რომ ბევრი პარტიული შეკრების ხარჯები მერიის ბიუჯეტიდან დაიფარა. კერძოდ, კომისიის ცნობით, 896 571 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან — 484 255 ლარი (54%) დახარჯულია მოწვეული სტუმრებისთვის სხვადასხვა რესტორანსა და ბარში ვახშამებისა და მიღება-ფურშეტების მოწყობაზე.

მათი ინფორმაციით, „ფართი ჰაუსის“ მიერ გაწეული მომსახურება გაუმჭვირვალეა და არაერთი სიტყვიერი მოთხოვნის მიუხედავად, რომ წარმოედგინათ, თუ რა წინაპირობა არსებობდა მიღება-ფურშეტის მოსაწყობად და ვინ იყვნენ მოწვეული სტუმრები, უფლებამოსილმა პირმა აღნიშნული დოკუმენტები არ წარადგინა.

**„გამოითქმის ეჭვი, რომ შესაძლოა, აღნიშნული ღონისძიებები პარტიული შეკრებები ყოფილიყო“,** — მიიჩნევენ კომისიაში.

**ზემოთ აღნიშნულის გარდა, მასალებით ირკვევა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, „ჰერმესის“, „სინათლის ქალაქის“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ და „თბილსერვისის“ სამეთვალყურეო საჭოებში 44 ნაციონალი დასაქმდა, რომელთა ხელფასისთვის გამოყოფილია — 1 282 500 ლარი.**

**კომისიაში ბევრ სხვა არამიზნობრივ ხარჯებზეც არის საუბარი. მათ შორის, მათი ინფორმაციით, საჯარიმო ქვითრის ადრესატისთვის ჩაბარებისთვის გაწეული საფოსტო-საკურიერო მომსახურების 190 484 ლარის ხარჯიდან — 76 194 ლარი ადმინისტრაცია არამიზნობრივად გასწია. ასევე მათი განცხადებით, მერიის კუთვნილი ფართების ტექნიკურ სამეურნეო მომსახურებაზე გაწეული — 204 179 ლარის დანახარჯებიდან ზედმეტად 152 315 ლარია გადახდილი. ხოლო, მერიის მიერ დასუფთავების მომსახურებისთვის 61 996 ლარია გადახდილი.**

**რაც შეეხება მერიის მაღალჩინოსანთა და აპარატის თანამშრომელთა პრემიებს, კომისიის ცნობით, 2012-2013 წლებში, აპარატის დაფინანსებისთვის მოთხოვნილი საპრემიო თანხა — 9 562610 ლარი დაუსაბუთებელია და მას არავითარი გაანგარიშება არ ერთვის.**

მათი განმარტებით, პრემიების დარიცხვის დროს პრემირების წესი ირღვევა და მაღალი თანამდებობის პირებს — მერს, მის მოადგილეებს, გამგებლებს (დაახლოებით 70-მდე საშტატო ერთეულს) პრემია წინასწარი განსაზღვრით ეძლევათ და არა მათი ზეგანაკვეთური მუშაობის, სამუშაოში შეტანილი წვლილის და სხვა ფაქტორების მიხედვით.

**„პრემიები განუსაზღვრელი რაოდენობით გაიცემა. მაგალითად, 2012 წლის დეკემბრში 78 ადამიანს - მერს, მის მოადგილეებს, სამსახურების უფროსებს, გამგებლებსა და მათ მოადგილეებს, პრემიის სახით მიღებული აქვთ — 704 397 ლარი, რაც მათ თანამდებობრივი სარგოს 500-600 პროცენტს შეადგენს. არის შემთხვევა, როდესაც საჯარო მოხელეს ერთ თვეში დანამატისა და პრემიის სახით, ხელფასის შესაბამისი 677 პროცენტი აქვს მიღებული. ყოველთვიურად, ხელმძღვანელ მუშაკებზე დარიცხულია სარგოს შესაბამისი პრემიები, ხოლო რიგით თანამშრომლები გათვალისწინებული არ არიან“,** — მიიჩნევენ კომისიაში.

ალნიშნულ ხარჯთაღრიცხვაზე, მოუწევს თუ არა პასუხის გაცემა თბილისის უფლებამოსილებაშეჩერებულ მერ გიგი უგულავას, ამას პროკურატურა დაადგენს, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილის მსგავსად, ბიუჯეტი არც დედაქალაქის მერს „დაუნდვია“.

**თეონა მანაგაძე**

პატიმრის განცხადებას — სერიოზული მიდგომა

# „მთავრობა და მთავარი პროკურორი მერაბიშვილის თამაშის მძევლები აღმოჩნდნენ“

ის, რაც სოზარ სუბარისთვის პოლიტიკურად მომგებიანია, წამგებიანია გენერალური პროკურორისთვის. ოთარ ფარცხალაძე საქმის გამოძიების დაწყებას არ აპირებს. იუსტიციის მინისტრი კი განმარტავს, რომ როდესაც პატიმარი რაღაცას აცხადებს, ამას სერიოზული მიდგომა სჭირდება. პროკურატურისგან კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემას ითხოვს პარლამენტის თავმჯდომარე. საქმის გამოძიებას მხარს უჭერენ საკანონმდებლო ორგანოს წევრებიც, თუმცა ამის მიუხედავად, ფარცხალაძე, როგორც ჩანს, საკუთარი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ეს კი, ექსპერტების განცხადებით ადასტურებს, რომ ამ საკითხმა ხელისუფლებაში არსებული დაპირისპირება გამოააშკარავა.

სამართალმცოდნე ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი დემოკრატიულ საზოგადოებაში არის კანონი. კანონი კი ამბობს, რომ ნებისმიერი ცნობები შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ, არის საფუძველი შესაბამისი პროცესუალური საქმის წარმართვისა. ალაფიშვილი არ გამორიცხავს, რომ ეს შემთხვევა მთავრობის შიგნით შედარებით ნაკლები ან შერყეული პოზიციის მქონე პოლიტიკოსებმა თავიანთი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენონ.

**„სწორედ ამით ვხსნი მთავრობის წევრების არაერთგვაროვან განცხადებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. როდესაც პრემიერის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად ხისტია და შიგნით მთავრობის წევრები, როგორც მინიმუმ, თავს არ იკავებენ კომენტარზე, ეს ჩემთვის იმის კიდევ ერთი დასტური, რომ მთავრობის შიგნით არის აზრთა სხვადასხვაობა, მიდის პოზიციური ჭიდილი სასტარტო პოზიციების გამყარებისთვის“,** — აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

რაც შეეხება ე.წ. მატროსოვის ციხეში მომხდარ ფაქტს, For.ge-ს ინფორმაციით, რეალობა ასეთი იყო: ვანო მერაბიშვილმა თავად მოითხოვა გენერალურ პროკურორთან შეხვედრა იმ მოტივით, რომ ის აპირებდა გამოძიებასთან თანამშრომლობას. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ფარცხალაძე ამ შეხვედრას დათანხმდა, რაც შემდეგ მერაბიშვილმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ამ კონკრეტულ საქმეზე ადვოკატების აცილებაც მოითხოვა. წესით, როდესაც პირის გადაყვანა ხდება სასჯელაღსრულების სისტემიდან, ეს გადაადგილება იურიდიულად უნდა იყოს გაფორმებული, რაც მერაბიშვილის შემთხვევაში არ მომხდარა“.

ლევან ალაფიშვილი არ გამორიცხავს, რომ მერაბიშვილის გაყვანა მართლაც მისივე თხოვნით მომხდარიყო.

**„ამან ჩემთვის ძალიან ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. პირველ რიგში, გამოავლინა პროკურატურის მუშაობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები. თუ კი მერაბიშვილის მხრიდან ასეთი მიმართვა არსებობდა, ამ ყველაფრის თვისთავისი ფორმა უნდა მიეცათ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფლებააღკვეთილი პირის გადაადგილება. რაც შეეხება თვითონ ამ ფაქტს, შესაძლებელია, იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებას მძიმე ტვირთად ადევს ჟვანიას თუ სხვა გახმაურებული საქმეების გამოძიება, მათ შორის მერაბიშვილის საქმე, შესაძლებელია ამიტომაც დათანხმდა ამ შეხვედრას და სიჩქარის გამო, პროცედურებს აღარ მიანიჭეს მნიშვნელობა. არ გამოვრიცხავ, რომ პრემიერთანაც ყოფილიყო კომუნიკაცია.**

**ორი თანამდებობის პირი საჯაროდ აცხადებს, რომ ეს განცხადება არა საერიოზულია და გამოძიებას ვერ დავიწყებთო. იმდენად მნიშვნელოვანი იყო მერაბიშვილის ინიციატივა, რომ მათ იჩქარეს, ემოცურად მიიღეს გადაწყვეტილება წავიდნენ ამ ყველაფერზე. შეგახსენებთ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებულ პასპორტების საკითხს, მაშინაც ხომ ძალიან მარტივი ტექსტი იყო. შესაბამისი სამართლებლივი საფუძვლის გარეშე მერაბიშვილის გამოყვანა არის კანონდარღვევა და მისი ამ თამაშის მძევალი აღმოჩნდა მთავარობა და მთვარი პროკურორი“,** - აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას ლევან ალაფიშვილმა.

**„პროკურატურა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. არ ვიცი რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ხვალ თუ ზეგ მაინც მოუწევთ ამ საქმის გამოძიება. იმის განცხადება, რომ საქმეს არ გამოიძიებენ, ამით უფრო მეტ კითხვის ნიშნებს ბადებენ და უფრო მეტ საფუძველს აძლევენ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს საქმე გადაიყვანონ პოლიტიკურ ჭრილში და ეს არის შეცდომა“,** —აცხადებს For.ge-სთან საუბრისას სამართლის ექსპეტრი კახი კახიშვილი.

ვანო მერაბიშვილი უკვე მოინახულა სახალხო დამცველმა. უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ მერაბიშვილი მოუყვა დეტალებს, რა მოხდა რამდენიმე დღის წინათ და ის გაკვირვებულია, რომ გამოძიება არ არის დაწყებული.

**„მერაბიშვილი მზადაა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დეტალურად მიაწოდოს მას ინფორმაცია. ამ განცხადებაზე გამოძიების დროული დაწყება აუცილებელია, რათა ყველაფერს გაეცეს პასუხი, რაც უფრო დაგვიანდება და გაიწელება ეს პროცესი დროში, ვფიქრობ, შესაძლოა, უფრო მეტი კითხვის ნიშანი გაჩნდეს, თუ რატომ არ ხდება განცხადებაზე რეაგირება. ზოგადად აუცილებელია, რომ ზეწოლის შესახებ ნებისმიერმა განცხადებამ გამოძიების სახე მიიღოს“,** — აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

იუსტიციის მინისტრი გამორიცხავს, **რომ პროკურატურის რომელიმე წარმომადგენელი რაიმე ტიპის უკანონო ქმედებაში იყოს ჩართული. თუმცა, მიიჩნევს, რომ როდესაც პატიმარი რაღაცას აცხადებს, ამას სერიოზული მიდგომები სჭირდება, მიუხედავად იმისა, თავისი პირადი გადასახედიდან ამას ერთი თუ რამდენიმე მინისტრი გამორიცხავს.**

პარლამენტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ **პროკურატურის დისკრედიტაციაა, დაიწყებს თუ არა ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე გამოძიებას, თუმცა ამ უფლების მიუხედავად, პროკურატურა უნდა იყოს საზოგადოებისადმი მგრძნობიარე და კითხვებზე დამაჯერებელი პასუხები გასცეს გამოძიებით, თუ გამოძიების გარეშე.**

პრეზიდენტის განცხადებით, მერაბიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით პასუხი ნათელია — **ყველაფერი უნდა განხორციელდეს, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი და არა საგანგებოდ მერაბიშვილისთვის და არა საგანგებოდ რომელიმე სხვა შემთხვევისთვის.**

**„პოლიტიკურად ჩვენთვის ძალიან მომგებიანია, რომ ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე გამოძიება დაიწყოს“,** — განაცხადა სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში საზოგადოება სრულ სიმართლეს დაინახავს.

**თამთა ქარჩავა**

# მეცხრე პრეზიდენტი და მესამე ბახი,

## ანუ ოლიმპიური ორკესტრის დირიჟორი



**რას იფიქრებდა 1977 წელს ბუენოს-აირესში მსოფლიო ჩემპიონის საპატიო კვარცხლბეკზე მდგარი 24 წლის გერმანელი მოფარიკავე თომას ბახი, რომ ამ ქალაქში იგი კიდევ უფრო დიდ გამარჯვებას იზეიმებდა.**

36 წლის შემდეგ, 2013 წლის 10 სექტემბერს ბუენოს-აირესში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე თომას ბახი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს.

იგი მსოფლიო სპორტის ამ ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციის მეცხრე პრეზიდენტია დემეტრიოს ვიკელასის, პიერ დე კუბერტენის, ანრი დე ბაიე-ლატურის, ზიგფრიდ ედსტრიომის, ევერი ბრენდეჯის, ლორდ კილანინის, ხუან ანტონიო სამარანჩისა და ჟაკ როგის შემდეგ.

სოკის ბოლო ორ პრეზიდენტს პირადად ვიცნობდი. სამარანჩი 1986 წელს გავიცანი მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე და ავტოგრაფიც გამოვართვი. მერეც არაერთხელ შევხვედრივარ. 1992 წელს ხელმძღვანელი ვიყავი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ოფიციალური დელეგაციისა, რომელიც 1992 წელს სამარანჩთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა ლოზანაში. სწორედ მაშინ, მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, ჩემთან ჟაკ როგი მოვიდა — მაშინ იგი ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი იყო — და, ამიხსენი, საქართველო ევროპაა თუ აზიაო, მითხრა. ავუხსენი. ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო. მერე მე სამარანჩისა და როგის ერთ-ერთი მასპინძელი ვიყავი, როცა ისინი თბილისში ჩამოვიდნენ 1994-ში. 2001 წელს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად არჩევა ჟურნალისტთაგან ერთ-ერთმა პირველმა ჟაკ როგს მე მივულოცე მოსკოვში.

თომას ბახს კი ჯერჯერობით ვერ შევხვდი, ვერ გავიცანი. უფრო სწორად შევხვდი, მაგრამ ვერ გავიცანი. ორჯერ შევხვდი და ვერც ერთხელ ვერ გავიცანი. ბუენოს-აირესში რომ ვნახე, იგი მიუწვდომელი იყო, იმდენი ხალხი ეხვია გარს. მეორედ კი იგი იოჰანესბურგში ვნახე სრულიად შემთხვევით, რაღაც მისტიკურ ვითარებაში და თუმცა მხოლოდ ერთი ადამიანი — სოკის სამხრეთაფრიკელი წევრი სემ რამსამი ახლდა, გასაცნობად და მისალოცად მისვლა მეც და ელგუჯა ბერიშვილმაც, ვისთან ერთადაც ვიყავი, უხერხულად ჩავთვალეთ.

იოჰანესბურგში მსოფლიოს ანტიდოპინგური საგენტოს კონფერენცია ტარდებოდა და სეოკის ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშილი მისი დელეგატი იყო, მე კი ჟურნალსიტად ვიყავი აკრედიტებული.

სამხრეთაფრიკაში ბლომად წიგნები ვიყიდე და იოჰანესბურგის თანამგზავრ ქალაქ სენტდონ-სიტის ვეება მოლში დავდიოდით მაღაზია-მაღაზია ჩანთის საყიდლად. ინგლისურენოვან ქვეყნებში მუდამ ასე მემართება — მუდამ ბევრი ტვირთი მიგროვდება. ერთი ჩანთა მომეწონა. არ ვიცი, რა ისეთი ბრენდი იყო ან რა ისეთი მასალისა, მაგრამ გამაოგნებლად ძვირი — 3000 დოლარზე მეტი ღირდა. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ, მაგრამ ელგუჯას ვუთხარი, ამ ჩანთას მხოლოდ რიჩარდ ბახი თუ შეწვდება-მეთქი.

ვუთხარი და სხვა მაღაზიისკენ გავწიეთ ჩანთის საყიდლად. პასაჟში გამოვედით თუ არა, ლამის პირისპირ შევეჯახეთ თომას ბახს! იგი სემ რამსამისთან ერთად, მგონი, სწორედ იმ მაღაზიაში შევიდა სწორედ იმ ჩანთის საყიდლად, მე რომ სიძვირით გამაოგნა!

სიძვირით გაოგნება რა მოსატანია იმ გაოგნებასთან, რაც ამ მოულოდნელ შეხვედრას მოჰყვა! მე და ელგუჯა კარგა ხანს ვერ მოვეგეთ გონს. არ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვეცინა თუ ტელეპატიისა გვეწამა!

სოკის ახალარჩეული პრეზიდენტი მიხვდა, რომ ვიცანით, მით უმეტეს, რომ ელგუჯამ ორჯერ არცთუ ისე ხმადაბლა გადმომილაპარაკა, ნახე, ნახე, ვინ მოდისო, მაგრამ ისე ჩავუარეთ, ვითომ ვერ ვიცანით.

ეს ამბავი მთავარი არ არის, სიტყვას მოჰყვა და სასხვათაშორისოდ მოვყევი.

მთავარი სხვა ამბები გახლავთ:

თომას ბახი პირველი გერმანელია, რომელიც ასეთი დონის საერთაშორისო ორგანიზაციის თავკაცად აირჩიეს. სოკი არა, მაგრამ ამგვარი საერთაშორისო ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომრავლდა და სწორედ მეორე მსოფლიო ომის გამო მათ სათავეში გერმანელთა არჩევას ერიდებოდნენ. როგორც ჩანს, თომას ბახს მოუწევს ამ არასასიამოვნო სტერეოტიპის დანგრევა.

თომას ბახამდე მსოფლიოში ორი დიდსახელიანი ბახი იყო ცნობილი — დიდი გერმანელი კომპოზიტორი იოჰან-სებასტიან ბახი და თანამედროვეობის უაღრესად პოპულარული მწერალი რიჩარდ ბახი.

ეს მესამეა. თავის ბახობას მან თავად გაუსვა ხაზი სესიის დელეგატებისათვის წარდგენილ თავის საპროგრამო-საპრეზენტაციო გამოცემაში.

„ჩვენ მსოფლიო ორკესტრივით ვართ და სრულყოფილ ჟღერადობას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ თითოეული ჩვენგანი შეძლებს, თავისი პარტია შეასრულოს თავისი ინდივიდუალური ინსტრუმენტით. ნაწარმოები, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ, არ არის დაწერილი იოჰან-სებასტიან ბახის, ენდრიუ ლოიდ ვებერის ან ოლიმპიური მოძრაობის გარეთ მდგარი სხვა ხალხის მიერ, არამედ შექმნილია ან იქმნება ერთობლივად ყველა ჩვენგანის მიერ და ირეკლავს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კულტურას, სხვადასხვა საზოგადოებას, სხვადასხვა რწმენას და სხვადასხვა ისტორიას, გაერთიანებულს ოლიმპიური მოძრაობის ერთგულებით. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ამ ორკესტრს დირიჟორივით ემსახურება.“



რიჩარდ ბახი, საოჯახო გადმოცემის თანახმად, თავის თავს იმ დიდი ბახის შორეულ შთამომავლად მიიჩნევს. თუმცა, როგორც აკრედიტებული ჟურნალისტი, ბუენოს-აირესში ვიყავი და სესიის მსვლელობას უშუალოდ ვადევნებდი თვალს, არ მომეცა საშუალება შევხვედროდი ახალარჩეულ პრეზიდენტს და მის დიდ მოგვარესთან მისი ნათესაური კავშირის შესახებ მეკითხა. მაგრამ იმის მიუხედავად, არის თუ არა მისი წინაპარი დიდი კომპოზიტორი, თომას ბახის მუსიკალური ალუზია თუ შედარება, მე პირადად ძალიან მომეწონა.

ეტყობა, ეს ალუზია და საერთოდ, მისი საპროგრამო განაცხადი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებსაც მოეწონათ, რაც კენჭისყრის შედეგებში აისახა.

პრეზიდენტობაზე გამარჯვებულის გარდა კიდევ ექვსი კანდიდატი იყრიდა კენჭს: პუერტორიკოელი რიჩარდ კარიონი, ტაივანელი ჩინ-კუო ვუ, უკრაინელი სერგეი ბუბკა, შვეიცარიელი დენის ოსვალდი და სინგაპურელი სერ მიანგ ნგ.

ისტორიაში პირველად მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის თავკაცობაზე პრეტენზიას აცხადებდა ოლიმპიური ჩემპიონი, თანაც ორი — ბუბკა და ბახი.

ათგზის მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი, 50 წლის სიმაღლეზე მხტომელი სერგეი ბუბკა 1988 წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მასზე 10 წლით უფროსმა ბახმა კი ოლიმპიური ოქროს მედალი 1976 წელს მოიპოვა გერმანიის რაპირისტთა გუნდის შემადგენლობაში, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ მატიას ბერი, ჰარალდ ჰაინი, კლაუს რაიხერტი და ერიკ ზენს-გორიუსი. თომას ბახი მთელი 10 წლის განმავლობაში — 1970-დან 1980 წლამდე იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოფარიკავეთა ნაკრების წევრი. გარდა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობისა, ბახმა მსოფლიო ჩემპიონატებზე კიდევ ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, სამივე — ისევ გუნდურში. ინდივიდუალურ გამოსვლებში მას ასეთი წარმატებები არ ჰქონია. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი გუნდური მოთამაშეა და ამ ფონზე განსაკუთრებულად დამაჯერებლად ჟღერს ზემოთ მოხმობილი მისი „საორკესტრო-მუსიკალური“სიტყვები.

ბევრია მსოფლიოში ოლიმპიური ჩემპიონი, კიდევ უფრო მეტია მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ ცოტაა ისეთი სპორტსმენი, ვინც ერთდროულად არის როგორც ოლიმპიური, ისე მსოფლიო ჩემპიონი, თუნდაც გუნდურში. ასე რომ, თუმცა ბუბკას სპორტულ კარიერასთან ვერ მოვა, თომას ბახის სპორტული წარმატებები საკმაოდ შთამბეჭდავია.

არანაკლებ შთამბეჭდავია მისი, როგორც სპორტის ფუნქციონერის კარიერა. მას მერე, რაც 1981 წელს ბადენ-ბადენის ისტორიულ ოლიმპიურ კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ოლიმპიელ სპორტსმენთა სახელით, იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენთა კომისიის წევრად აირჩიეს, ათი წლის შემდეგ კი უკვე სოკის წევრი გახდა. მას მერე სწრაფად დაწინაურდა სპორტული ადმინისტრაციის კიბეზე, როგორც თავის ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში.

ბახი განათლებით იურისტია, დამთავრებული აქვს ვიურცბურგის უნივერსიტეტი და სხვადასხვა დროს სათავეში ედგა სოკის რამდენიმე კომისიას, მათ შორის — იურიდიულ კომისიას, რომელსაც 2002 წლიდან სოკის პრეზიდენტად არჩევამდე ხელმძღვანელობდა. 1996 წელს სოკის აღმასკომის წევრად აირჩიეს, 2000-2004 წლებში კი ვიცე-პრეზიდენტი იყო. 2006 წელს იგი კვლავ აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად და სწორედ ამ სტატუსით ჩავიდა ბუენოს-აირესში.

2006 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა გერმანიის ოლიმპიური სპორტის კონფედერაცია, რომელიც გერმანიის სპორტის კონფედერაციისა და გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის შერწყმით შეიქმნა. აქტიურად მონაწილეობდა გერმანიაში 2006 წელს ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაში, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და 2011 წელს ქალ ფეხბურთელთა მსოფლიო თასის ჩატარებაში, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

მისი კანდიდატურა იმთავითვე გამოირჩეოდა პრეზიდენტობის მაძიებელთა შორის. სესიის დაწყებამდე მე ჩემს კოლეგებთან სანაძლეოც კი დავდე, რომ პრეზიდენტად სწორედ ბახს აირჩევდნენ, ხოლო 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქებში ტოკიო გაიმარჯვებდა. ორივე სანაძლეო მოვიგე და ჯერ ტანგოს წარმოდგენაზე დამპატიჟეს ბუენოს-აირენის ტანგოს უძველეს თეატრში და მერე — ნამდვილ არგენტინულ რესტორანში სანმარტინისა და კორდობას კუთხეში.

თუმცა არც ეს არის მთავარი.

მთავარი ისაა, რომ არასოდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებში ამდენი კანდიდატი არ ყოფილა და არასოდეს არჩევნები ასე უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა.

ბახზე დადებული ფსონის მიუხედავად, კენჭისყრის წინ ნახევრადხუმრობით ჩემთვის გავიფიქრე, რა მოხდება, სინგაპურელმა რომ გაიმარჯვოს-მეთქი.

არა, მე მის პიროვნულ ღირსებებს არ ვგულისხმობდი, არც მის შესაძლებლობებში შემიტანია ეჭვი, უბრალოდ წარმოვიდგინე, რა დღეში ჩავცვივდებოდით ჟურნალისტები, განსაკუთრებით ქართველი ჟურნალისტები, მისი ორასოიანი უხმოვნო გვარის წარმოთქმისას ან დაწერისას:

ნგ-მ განაცხადა...

თბილისში ნგ ჩამოდის...

ნგ-ს მიაჩნია, რომ...

მაგრამ ნგ-სთვის კენჭისყრა ისე დაიწყო, რომ ჩემი თუნდაც ნახევრადხუმრობით დაშვებული შესაძლებლობა იმთავითვე გამოირიცხა: პირველ ტურში, რომელშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების 50 პროცენტზე მეტი, მან და მეორე ორასოიანმა, მაგრამ ხმოვნიანმა კანდიდატმა, ვუმ ყველაზე ნაკლები ხმები მიიღეს, თანაბრად ნაკლები. მართალია, მათ შორის ურთიერთობის გასარკვევად დანიშნულ ტურში ნგ-მ გაიმარჯვა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ჟურნალისტებს მისი გვარი პრობლემებს არ შეუქმნიდა.

მან მეორე ტურში მხოლოდ 6 ხმა მოაგროვა, მაშინ როცა ბახმა გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი — 49 ხმა მიიღო და დიდად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ კარიონს, რომლის კანდიდატურას 29 ხმოსანმა დაუჭირა მხარი. ოსვალდს 5 მხარდამჭერი აღმოაჩნდა, სერგეი ბუბკას კი ყველაზე ნაკლები — მხოლოდ 4.

ასე გახდა მესამე ბახი სოკის მეცხრე პრეზიდენტი.

„მე ყველა ღონეს ვიხმარ საიმისოდ, რომ დავაბალანსო ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართული ყველა მხარის ინტერესები. მინდა იცოდეთ, რომ ჩემი კარი, ჩემი ყურები და ჩემი გული მუდამ ღიაა თქვენთვის“, — მიმართა მან თავის პირველ სიტყვაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს, ყველას, ვინც მას ხმა მისცა და ვინც არ მისცა.

რამდენიმე დღის შემდეგ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ თომას ბახმა დაიწყო გადადგომათა სერია ყველა იმ თანამდებობიდან, რომელიც მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევამდე ეკავა. მალე ისიც გახდა ცნობილი, რომ იგი ლოზანაში გადავიდა საცხოვრებლად.

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი თომას ბახი 29 დეკემბერს 60 წლისა ხდება.

თავის იუბილეს იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად შეხვდება ლოზანაში.

**პაატა ნაცვლიშვილი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული ღვინის ნახევარი რუსეთში იგზავნება

**ემბარგოს შემოღებამდე საქართველოს რუსეთში წელიწადში 40 მილიონი ბოთლი ღვინო შეჰქონდა – წელს ყოფილი მოცულობები ჯერჯერობით არ აღდგენილა**

**თბილისი თავისი ღვინის რეკლამას მოაწყობს ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს სოჭში. საკუთარი „საქართველოს სახლი“, რომლის იდეაც ადრე განიხილებოდა ქვეყნის მიღწევათა პოპულარიზაციის მიზნით, არ იქნება. იმოქმედებენ, სავარაუდოდ, მრავალრიცხოვანი ადგილობრივი რესტორნები, სადაც შეიტანენ ღვინოს, რომელიც შვიდწლიანი ემბარგოს შემდეგ დაბრუნდა რუსეთში ექვსი თვის წინათ.**

**— ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთბაშად რამდენიმე ცნობილ ქართულ მწარმოებელთან, რომლებიც დაინტერესებული არიან აქცენტირებულად გაყიდონ ქართული ღვინის მარკები ოლიმპიადის დღეებში. რაოდენობას რუსი პარტნიორები განსაზღვრავენ — დისტრიბუტორები, რომლებიც ავრცელებენ ქართულ ალკოჰოლს რუსეთში,** — აცნობა ჩვენს გაზეთს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა.

**ყველაზე დიდი მოთხოვნა რუსეთის ბაზარზე აქვს ტრადიციულ მარკებს —„ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „ტვიში“, „საფერავი“, „მუკუზანი“.**

საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში ჩვენ გაზეთს სთხოვეს სოჭში თავისი „სახლის“ არქონის პირობებში არ დაინახონ რაიმე პოლიტიკური სარჩული.

**— ეს არანაირად არ არის დაკავშირებული გადაწყვეტილებასთან არ გაგზავნონ ოლიმპიადაზე პოლიტიკური ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. უბრალოდ, ჩვენი დელეგაცია მცირერიცხოვანია, სპორტის ზამთრის სახეობანი არ არის ჩვენთვის პოპულარული,** — განაცხადეს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. მაგრამ ჩვენ აუცილებლად გამოვალთ სახელმწიფო დროშის ქვეშ, და არა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშით, როგორც ამას ქართული ოპოზიცია მოითხოვს.

საქართველოს დელეგაციას სათავეში ჩაუდგება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში ლერი ხაბელოვი. ჯერჯერობით ლიცენზია ოთხმა სპორტსმენმა მოიპოვა: სამმა სამთომოთხილამურემ და საქართველოს მთავარმა იმედმა ამ თამაშებზე ფიგურული სრიალის ოსტატმა ელენე გედევანიშვილმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ჩვენი ნაკრები მაქსიმუმ შეივსება კიდევ ერთი სამთომოთხილამურით.

როგორც ჩანს, თბილისში იმედი აქვთ მიიპყრონ სტუმრების ყურადღება მთელი მსოფლიოდან არა სპორტული გამარჯვებებით, არამედ ღვინით.

როდესაც განაახლა ღვინის მიწოდება რუსეთში, საქართველოს იმედი ჰქონდა, რომ ივნისიდან 2013 წლის ბოლომდე მოახდენს 5 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტირებას. მაგრამ ამ პერიოდში უკვე შეტანილია 23 მილიონი. ეს არის ქართული ღვინის ექსპორტის საერთო მაჩვენებლის ნახევარი მიმდინარე წელს (მას აწოდებდნენ 48 ქვეყანაში). რუსეთი მტკიცედ ლიდერობს მოცულობის მიხედვით, მეორე ადგილზეა უკრაინა — დაახლოებით 12 მილიონი ბოთლი. ემბარგომდე საქართველოს რუსეთში შეჰქონდა 40 მილიონი ბოთლი ღვინო წელიწადში, მაგრამ მაშინ პროდუქცია რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ბევრ შენიშვნას იმსახურებდა, რამაც აკრძალვამდე მიგვიყვანა.



სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ მიმავალ წელს მთლიანად დარგისთვის „რევოლუციური“ უწოდა, მათ შორის რუსეთის ბაზრის გახსნის წყალობით. წლის ბოლომდე საქართველო საზღვარგარეთ გაყიდის მოწეული ციტრუსების მოსავლის ნახევარს — 60 ათას ტონამდე. რუსეთში უკვე გატანილია 12 ათასი ტონა მანდარინი — ბორნით ნოვოროსიისკში. ტემპები შეანელა ცუდმა ამინდმა, მაგრამ ამჟამად მიწოდება რეგულარულად ხორციელდება. რუსეთმა წელს ასევე შეზღუდვები შეამცირა ვაშლის, მსხლის, ატმისა და თხილის შეტანაზე.

**— 2014 წელს გათვალისწინებულია მოლაპარაკების დაწყება რუსეთის კოლეგებთან, აგრეთვე მწვანილის მიწოდებაზე — ესენია კამა, ოხრახუში და რეჰანი. მიწოდება შეიძლება დაიწყოს უკვე ზამთარში,** — აცნობა ჩვენს გაზეთს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ზურაბ ჩეკურიშვილმა.

საერთო ექსპორტმა საქართველოდან რუსეთში წელს 161 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს ორჯერ უფრო დიდი მაჩვენებელია, ვიდრე 2012 წელს იყო.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# ვანო მერაბიშვილის საშობაო საჩუქარი

**„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს ყოფილმა მმართველმა პარტიამ, გააგრძელა შეტევა ქვეყნის მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეზე. როდესაც გაავრცელა ინფორმაცია მის საციხე წარსულზე გერმანიაში, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოააშკარავა მთავარი პროკურორი უმაღლესი განათლების მიღების ნაწილთან დაკავშირებითაც.**

როდესაც შეადარეს ერთმანეთს ფარცხალაძის დაბადების თარიღი და ერთ-ერთ უმაღლეს ქართულ სასწავლებელში სწავლის პერიოდი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, თუ მთავარი პროკურორის ბიოგრაფიის თარიღები სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ მისი უმაღლესი განათლება ეჭვს იწვევს. უფრო სწორად, ამბობენ „ნაციონალები“, დიპლომი მიღებულია არაოფიციალური გზით, ვინაიდან თარიღების მიხედვით გამოდის, რომ იგი უმაღლეს სასწავლებელში შევიდა 15 წლისა, რაც ძნელად დასაჯერებელია. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი კანდელაკი ამტკიცებს ასევე შემდეგ რამეს: იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ფარცხალაძე სწავლობდა, იურიდიული ფაკულტეტი გაიხსნა ერთი წლით ადრე ან უფრო გვიანაც კი მის მიერ დიპლომის დაცვამდე, ამიტომ ჩნდება საკითხი დოკუმენტის სიყალბის შესახებაც.

მთავარი პროკურატურა ჯერჯერობით თავს იცავს ადრინდელ, უფრო მძიმე ბრალდებისგან იმის შესახებ, რომ ფარცხალაძე გერმანიაში იჯდა ციხეში ქურდობისთვის ძალადობით. სასამართლოს მიერ მერის პოსტიდან გადაყენებულმა გიგი უგულავამ ქალაქ აუგსბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ნომერიც დაასახელა, რომლის მიხედვითაც ფარცხალაძე გისოსებს მიღმა იმყოფებოდა წელიწადი და სამი თვე, რის შემდეგაც მოხდა მისი ექსტრადირება სამშობლოში. პროკურატურის ყოველ უარყოფაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უპასუხებს ამ სკანდალური საქმის ახალი დეტალით. როგორც უგულავამ მიუთითა, სასამართლოს ვერდიქტში მითითებულია, რომ სასჯელმისჯილმა არ უნდა დაიკავოს სახელმწიფო პოსტი 2016 წლამდე. თუმცა, ჩნდება შეკითხვები: უნდა მოქმედებდეს გერმანიის სასამართლოს დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე და განა შეეძლო სასამართლოს გამოეტანა ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქესთან დაკავშირებით? და საერთოდ — რეალურია სასჯელის მისჯის ისტორია?

ამ შეკითხვებზე პასუხების მიღება შეიძლება დახმარებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, თუ მიმართავდა შესაბამისი კითხვით გერმანელ კოლეგებს. სხვათა შორის, ამას მოითხოვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“. მაგრამ უწყების ხელმძღვანელი თეა წულუკიანი შვებულებაშია — ასე ხსნის იუსტიციის სამინისტრო თავის უმოქმედობას. სიტუაცია მივიდა იქამდე, რომ საზოგადოებამ შეწყვიტა სხვადასხვაგვარი უარყოფების გავრცელება, და ფარცხალაძე გამოვიდა თავად. მაგრამ მან, როგორც ჩანს, დიდ წარმატებას ვერ მიაღწია რენომეს აღდგენაში. ფარცხალაძემ ოპონენტების ბრალდება ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია: 2001 წელს ის მართლაც იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც მოუვიდა კონფლიქტი პოლიციასთან, მაგრამ დანარჩენი სიმართლე არააო — არავინ გაუძარცვავს, ციხეში არ მჯდარა, ექსტრადირებულიც არ ყოფილა. და გაიმეორა თავისი ბრალდებები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით: „ნაციონალების“ ლიდერების წინააღმდეგ რამდენიმე გამოკვლევა მთავრდება და, როდესაც იგრძნეს სერიოზული საფრთხე, ისინი ცდილობენ მოახდინონ ზემოქმედება პროკურატურაზე და მთავარი პროკურატურის დისკრედიტირება.

რამდენად სარწმუნო იყო ფარცხალაძის პასუხი, გასაგები გახდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“ საღამოს ეთერიდან, რომელიც მიეძღვნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მთავარი პროკურორის დაპირისპირებას, რომლის დროსაც ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ექსპერტმა გია ხუხაშვილმაც გამოთქვა აზრი, რომ, თუ ფარცხალაძე ვერ შეძლებს დამარწმუნებლად უარყოს ბრალდება, მაშინ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა წავიდეს დაკავებული თანამდებობიდანო.

ამ დროს საზოგადოებამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო გონივრული განმარტებები ფარცხალაძის ბრალდებებთან დაკავშირებით შანტაჟში, რომელიც მის წინააღმდეგ ექსპრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა წამოაყენა. არადა, სწორედ ხომ აქედან დაიწყო ამჟამინდელი აურზაური. შეგახსენებთ, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი მერაბიშვილი ამტკიცებს, რომ ძალით გამოიყვანეს ციხიდან მთავარ პროკურორთან შესახვედრად, რომელმაც თავისუფლების საფასურად მოსთხოვა მას ნათელი მოჰფინოს ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ვითარებას და წარმოადგინოს ინფორმაცია ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უცხოურ ანგარიშებზე.

მერაბიშვილმა უარი თქვა დაესწროს სასამართლო სხდომებს მანამ, სანამ არ გამოქვეყნდება იმ ღამის ციხის ვიდეოდადგმების ვიდეოჩანაწერები, როდესაც იგი მიჰყავდათ ფარცხალაძესთან. ჩანაწერები ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. და უცნობია, გამოქვეყნდება თუ არა საერთოდ. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების დაინტერესება ამაში არ ჩანს. ვანო მერაბიშვილი კი ჯერჯერობით ასრულებს სიტყვას — განსასჯელის სკამი სასამართლოს დარბაზში სხდომების დღეებში ამ საქმესთან დაკავშირებით ცარიელია. 25 დეკემბრის ღამით თბილისის ციხესთან მატროსოვის ქუჩაზე ცაში აიჭრა ათობით ჩინური ფანარი. ამით ვანო მერაბიშვილის მომხრეებმა მას შობის დღესასწაული მიულოცეს. საქართველოს ექსპრემიერი რწმენით კათოლიკეა.

**„სიტუაცია უკიდურესად მწვავეა, და ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი“,** — განუცხადა ჩვენს გაზეთს ინფორმირებულმა წყარომ. მისი სიტყვებით, ერთი მხრივ, ფარცხალაძის მიმართ არის სერიოზული შეკითხვები, დაბეჯითებული პასუხები კი არ გაისმის. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ მას გადააყენებენ, ესე იგი დაუჯერებენ „ნაციონალებს“, შეკითხვები გაჩნდება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გამოძიებაც წინ წავიდა, როდესაც ფარცხალაძემ დაიკავა მთავარი პროკურორის სავარძელი. ეს კი სწორედ ის რეზონანსული საქმეებია, რომლებშიც ფიგურირებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობა.

პარლამენტის ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ, როდესაც კომენტარს უკეთებდა სკანდალს, განაცხადა: თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებები მთავარი პროკურორის მისამართით დადასტურდება, თუნდაც ნაწილობრივ, ეს იქნება „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკის კრახი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთის კანონმდებლობა დნესტრისპირეთში შეიძლება პრიორიტეტული გახდეს**

**ტირასპოლში დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის კანონების მოქმედების გავრცელება დნესტრისპირეთში — იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთთან თავისუფალი შეერთებისკენ. მომხდარს კიშინიოვი აღიქვამს, როგორც პროვოკაციას და რუსეთის მცდელობას, ხელი შეუშალოს მოლდოვის ინტეგრაციას ევროკავშირში.**

* * *

**საუდელ ბლოგერს რჯულგანდგომილობის გამო სიკვდილით დასჯა ემუქრება**

**რაიფ ბოდავიმ დააფუძნა საიტი „თავისუფლება საუდელ ლიბერალებს“, რომელზეც აკრიტიკებდა რელიგიურ ლიდერებს და პროპაგანდას უწევდა ლიბერალურ ღირებულებებს. იგი მიიჩნიეს ბრალეულად ისლამის შეურაცხყოფაში და შვიდი წლის ციხე და მათრახის 600 დარტყმა მიუსაჯეს. აპელაციამ მხოლოდ ზიანი მოიტანა — სასამართლომ რეკომენდაცია მისცა, ბრალდება შეცვალონ უფრო მძიმე სასჯელით.**

* * *



**რუსეთი და იაპონია იანვარში გამართავენ კონსულტაციას მშვიდობიანი ხელშეკრულების გამომუშავებაზე**

**მოლაპარაკება საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების დონეზე გაიმართება ტოკიოში 31 იანვარს. რუსეთსა და იაპონიას შორის არ არსებობს სამშვიდობო ხელშეკრულება მეორე მსოფლიო ომის შედეგებზე. მის ხელმოწერას ხელს უშლის აზრთა სხვადასხვაობა კურილიის კუნძულების სამხრეთი ნაწილის საკითხზე.**

* * *

**წყალდიდობამ ბრაზილიაში 30 კაცის სიცოცხლე შეიწირა**

**წელს დეკემბერი ქვეყნის აღმოსავლეთში ყველაზე წვიმიანია უკანასკნელი 90 წლის განმავლობაში. თქეში გადაუღებლადაა უკვე ცხრა დღეა, ესპირიტი-სანტუს და მინას-ჟერაისის შტატების მნიშვნელოვანი ნაწილი სტიქიური უბედურების ზონად გადააქცია.**

**თურქეთის პრეზიდენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა მოიწონა. წინა მინისტრებს ქრთამის აღებაში დასდეს ბრალი**

**ცვლილება შეეხო ათ უწყებას, მათ შორის ეკონომიკის, შინაგან საქმეთა, გარემოზუნების საქმეთა სამინისტროებს, რომელთა ხელმძღვანელებიც გადადგნენ ანტიკორუფციული სკანდალის ფონზე. დაწყებულ გამოძიებას პრემიერმა ერდოღანმა უწოდა „ბინძური მახე“, რომელიც მთავრობის წინააღმდეგაა მიმართული“.**



ქიზიყური სალაღობო

# აკი ძაღლი შინ არ ვარგოდაო...

მუხასავით ჩადგმული, ჭაღარა მიხო დიდხანს ატრიალა ექიმმა. ხან დააწვინა, პერანგი ააწევინა, განჯგვლიან მკერდზე თითები უბაგუნა, ფეხზე დამდგარიც წაღმა-უკუღმა აბრუნა, ქუთუთოები ააწევინა და თვალებშიც ჩახედა. შიგადაშიგ კითხვებსაც აყრიდა. მერე მაგიდას მიაშურა, სანამ კალამს დასწვდებოდა, თავი როგორღაც გააქნია, სათვალეებს ქვეშიდან ამოხედა.

– არა, უიმედო არაფერია, ჯერ ისევ კერკეტა ხარ, ოღონდ წამალს, რომელსაც ახლა გამოგიწერ, სიცოცხლის ბოლომდე მიიღებ!

– სიცოცხლის ბოლომდე? – მიხომ ბუჩქივით წარბები მაღლა აჰყარა, – ეგეთი რა უბედურება მჭირს, ექიმო, სიცოცხლის ბოლომდე აბი უნდა ვყლაპო? იმის იქითა, მერეც ხომ არა?..

– კაცნი ვართ, – დინჯად გააწყვეტინა ექიმმა, – რა იცი, რა ხდება, თადარიგი დაიჭი, დაიბარე, იქაც გაგატანონ... ეგ ყველაფერი როდია, დღეიდან სმაზე ხელს აიღებ...

– ეგ როგორა ჯო, მერედა ჩემს სტომაქს რას ეუბნები, არც ღვინო, არც არაყი...

– საერთოდ, ალკოჰოლს უარს ეტყვი და კიდევ თამბაქოს, თუთუნს არ გაეკარები...

– ქალებში სიარულსაც ხო არ მიკრძალავ, იქნებ ესეცა და... – მიხოს ძველისძველი, წვერებიანი ანეკდოტი გაახსენდა, – ბარემ, ესეც ამიკრძალე და სახლში რომ მივალ, კუბოს მოვატანინებ და შიგ ჩავწვები.

– არა, ქალებში სიარულს როგორ დაგიშლი, სიარული სასარგებლოცაა, იარე, ჩემო მიხო, სხვა რა დაგრჩენია.

არადა, ყველაფერი ცოლის ბრალი კი იყო, აიტეხა, რაღაც შენი ფერი არ მომწონსო. ქალი რომ შეგიჩნდება!..

– არ იტყვი მაინცა, ეგეთი რა უბედურება მჭირს? – თანდათან შეშფოთებამ უმატა მიხოს.

– აბა, როგორ, გითხრა, ხე რომ ბერდება და აქა-იქ ტოტები შეახმება, იმას არაფერი ეშველება, მაგრამ საღ ყლორტებს თუ უმკურნალებ... აი, ვენახში არხი ხომ ჩაგიდის, ხომ რწყავ, ის არხი ქვა-ღორღით დანაგვიანდება თუ არა, ხომ ასუფთავებ?.. ეგრეა ჩვენი სისხლი ძარღვებში. მერე იცი რა სიგრძისაა? ლამის ასი ათას კილომეტრს აღემატება. იგი ჩვენი სისხლის ქვევრია, სისხლის 80 პროცენტი ამ საწნახელში ჩუხჩუხებს... ეს ძარღვიც ისეთივე არხია... შენ რომ ღორის მწვადებს, ხაშლამას და რაებს არა ნთქავ და ახრამუნებ, მისგან ნაგვიანდება, ბინძურდება და გულს სისხლი აკლდება.

– მაიცა, მაიცა, მასულელებ თუ რას ამბობ? რა ასი ათასი კილომეტრიო!.. რამე ხო არ აგერია, ექიმო?

– მე კი არა, მეცნიერებმა გაზომეს და დაადგინეს. ჰოდა, ის ძარღვები ცხიმიანდება, ვიწროვდება, სხეული ქოლესტერინით ავადდება. დროზე თუ მიხედე...

მიხომ ბოლომდე არ მოუსმინა, რეცეპტი მაინც გამოართვა. სახლში, კარებთან არმისულს, მარო შემოეგება.

– რაო, რა გითხრა ექიმმა? – ქალმა თვალები, ისევ ახალგაზრდისა რომ შემორჩენოდა, მიაბრდღიალა ქმარს.

– რაო და, სასმელიც კი ამიკრძალა, თამბაქოცა, მაგრამ ქალებში იარე, მოგიხდებაო, – ცოლისადმი ბრაზი გზაში გაუნელდა და ოხუნჯობის გუნებაზეც დადგა.

– უი, მეხიც შენ დაგაყარეთ, იმ შენს ექიმსა და შენს ქალებსაც, ერთი ამას დამიხედე, ძაღლი შინ არ ვარგოდაო და... – მარომ რეცეპტი გარეთ გამოიტანა, რომ შუქზე კარგად წაეკითხა.

* * *

მიხო ერთი კვირა გულმოდგინედ ასრულებდა ექიმის რჩევებს, აბებსაც ყლაპავდა და დიეტასაც იცავდა. ერთი კვირის თავზე ვენახისკენ გაუტია, ღიღინით შეალაჯა მწკრივებს შორის.

– მიხოს გაუმარჯოს, როგორა ხარ, მეზობელო? – ქალის თბილმა ხმამ გზისკენ ნაუცბათევად მიახედა.

– შენ ხარ, ქეთო. რაღა შორიდან იძახი, ერთი ჩვენსას შემოიხედე, სამოთხე დაგანახო.

ქეთინო აქაურმა მიტომ ქალაქს გამოსტაცა და ქეთოდ იქცა, აქაურობას ალღო აუღო, სოფელს ერთი ბიჭი კი შესძინა, მაგრამ მიტუას ბედმა უმტყუნა, უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. ქალმა ოჯახს უერთგულა, კერა არ გააცივა, მერე კი, როგორც ლამაზმანებს მოსდით, ათასი ჭორმართალი აუგორეს. მიხოსაც გაურბოდა მისკენ თვალები, მაგრამ...

– შეისვენე, ქალო, მუხლს ქარი შეუყენე, – მიხო ვაზის ფერებას შეეშვა და მეზობლის შესახვედრად გაემართა, რომელიც ჭოჭმანობდა, არ იცოდა, დათანხმდებოდა თუ არა მიხოს შემოთავაზებას.

– მაგარი ვენახი გაქვს, მიხოვ, ავ თვალს არ ენახვება, – ქალმა ბოხჩა იქვე ფარდულთან ჩამოდო, – კაცის ხელი სხვაა, დალოცვილია, – სინანულით დასცდა ქალს.

მიხომაც შეიფერა, ჯერ ერთი მწკრივის თავთან მიიყვანა, მერე მეორესთან. საუბარიც აეწყო, ბოლოს სტუმარს ფარდულში შეუძღვა. მასპინძელი დინჯად ირჯებოდა, ყველი და პური გამოიღო კარადიდან, მეც მომშივდაო, სველი დოქიც ჩამოდგა, ჭიქებში ჩამოასხა, შარშანწინისწინანდელია, შემონახული მქონდაო, ჭიქაში ქარვისფერი ალიცლიცდა.

მერე, როგორც ხდება ხოლმე, ერთ ჭიქას მეორე მოყვა. ვაზის მოვლის დიდოსტატი ხომ იყო, მოსავალიც ბარაქიანი ხომ მოსდიოდა, ღვინოც უბადლო გამოსდიოდა, შიგა და შიგ ქალების მიჯირყვნაც კარგად ეხერხებოდა...

იმ დროს იქ, გზაზე კაცს რომ ჩაევლო, თმა ყალყზე დაუდგებოდა, ამ უქაროში ეს ფარდული ეგრე რად ტორტმანობს, ალბათ მიწა იძვრისო...

– აქამდე სად იყავი?... – კარში რომ აცილებდა, ოდნავ დარცხვენით უსაყვედურა ქალმა.

– კი მეჭირა თვალი შენზედა, მაგრამ იმ ჩემ დედაკაცს იგეთი ყნოსვა აქვს... ერთხელაც, ქალაქიდან დაბრუნებულს, შინ ფეხი არცკი შემომედგა, ეგრევე იწივლა, ეგ რა სუნი შემოიყოლე შე წყეულოო, მერე მთელი წელი მაწრუწუნა...

* * *

იმ საღამოს მიხოს სახლში ისეთი წივილ-კივილი ატყდა, ლამის მთელი სოფელი შეიყარა.

– დამშვიდდი, ქალო, რა სუნი, რის სუნი... აბა, რეებსა ბოდავ! – ლუღლუღებდა ნირწამხდარი მიხო, თუმცა, თავისი სიტყვების თვითონვე არ სჯეროდა, რადგან მიხვდა, მიუხედავად წლებისა, მაროს ძველი ყნოსვა ისევ შემორჩენოდა. იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ცოლის ქოქოლას ულვაშებში ჩაღიმებით იგერიებდა: აკი ძაღლი შინ არ ვარგოდაო!..

**გივი ჯახუა**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **48 მილიონად რამდენი adidas torsion-ის ბოტასი მოვა?**

● **ვსო, ამოხვედით ყანყრატოში, ბლინ! მომავალ არჩევნებს მომასწრო და თქვენ ჯინაზე ჩახვაძეს თუ არ მივცე ხმა, მე ვიყო ქარდავა.**

● **ეს ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, აღძრავს ლეგიტიმურ ეჭვებს, რომ მიზანმიმართულად ხდება და არა მარტო საუკუნოდ მოუსავლეთში მიმავალი ნაცების მხრიდან, ის ხომ ფაქტია, რომ მოვლენები არაფრით ხელისუფლების წისქვილზე არ ასხამს წყალს და სწორედ მის დისკრედიტაციას ემსახურება, რა გახდა ეს საკადრო პოლიტიკა, ქვეყანაში სადაც, ალბათ, 99% ს პრეზიდენტობაზე აქვს ამბიცია და ყველა პოლიტიკის „დე გოლი“ და „ვაშინგტონია“, ნუთუ ასეთი რთულია პატიოსანი, შეუბღალავი რეპუტაციის, კომპეტენტური და გამოცდილი კადრების შერჩევა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე?**




P. S. თუკი ხელისუფლებას სწადია საქმის კეთება და არსებობს ნება ქვეყნის განვითარების, მაშინ მთავარ პროკურორად ბატონი კახა კახიშვილი უალტერნატივოა!

● **რა საოცარია, ახლახან სმს მივიღე, იმ მრავალ შეტყობინებათაგან გამოვარჩიე და გაგიზიარებთ, კომპანია** Adidas გთავაზობთ 0% განვადებას და ნებისმიერ ჩვენს პროდუქციას თვეში 5 ლარად, მესიჯი ასე მთავრდება: „არა იპარო“!

● **ნაცები სხედან „მაესტროზე“, თუ „მაესტრო“ ზის ნაციონალებზე?**

● **არაფერი ეშველება ამ ქვეყანას, „დინამოს“ სტადიონთან საქმე მქონდა, ძლივს მივაღწიე და ჯერ კიდევ 25 რიცხვია, იმხელა საცობებია, საშინელება ხდება,** როგორც გინდა უჭირდეს ხალხს, მატრაკვეცობას, მიმბაძველობას და ამბიციას საზღვარი არ აქვს...

● **ამათ ღლიცინში რო ქვეყანა თავზე გვეშლება, ხვდებიით?**

● **სრულიად საქართველოს საზოგადოებას!**

**ძვირფასო საზოგადოებავ, სერიოზულად ვშფოთავ, ნებისმიერ არაარსებით ან ნაკლებად არსებით საკითხზე თქვენს მიერ ატეხილი ჟრიამულის გამო. მიმაჩნია, რომ უამრავი პრობლემაა, რაზეც უნდა ვიმსჯელოთ და განგაშის ზარები შემოვკრათ, მაგრამ უპირველესია სასამართლოს არარსებობა ქვეყანაში. მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის მთავარი მონაპოვარი — არსებული „სასამართლო სისტემა“ ხელშეუხებელი დატოვეს და დაუკითხავად შემოგვაჩეჩეს ეს სამარცხვინო სისტემა. რაღაც არ მახსოვს ბევრი გემსჯელათ აღნიშნულთან დაკავშირებით. როგორც წესი, ეს საკითხიც, საერთო ჟრიამულში და სატირულ-იუმორისტული პასკვილების გამოცხობის შეჯიბრობითობაში გადავატარეთ. არადა,ესაა მთავარი და მნიშვნელოვანი. არც ახლაა გვიან. მოვითხოვთ სასამართლო სისტემის ამოყირავება (არ მეშინია ამ სიტყვის ხმარება) და ახალი, ჯანსაღი სისტემის შექმნა. სულაც რომ მთვარიდან მოგვიწიოს შესაფერისი კადრების ჩამოყვანა, ეს საქმე, გასაკეთებელია, დღეს და ახლა! უამისოდ, წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავალთ და მუდმივად წრეზე ვიტრიალებთ.**

**არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა!!!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

ალიან-ჩალიანი

## ექიმმა ყალბ დოკუმენტში ქრთამად 500 ლარი აიღო

**საქართველოს** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა კომერციული მოსყიდვის და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ბრალდებით მოქალაქე მზია პაჭკორია დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებით დადგენილია, რომ სს ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკას“ ექიმმა დერმატო-ვენეროლოგმა მზია პაჭკორიამ, 500 ლარის სანაცვლოდ, მოქალაქეს ყალბი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი დაუმზადა, რომლითაც მას მეორე ჯგუფის ინვალიდობის სტატუსი განუსაზღვრა. — აღნიშნული ყალბი აქტის საფუძველზე, მოქალაქეს სახელმწიფოსგან დაენიშნებოდა ინვალიდობის პენსია ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. გამოძიების მიერ მოპოვებული მონაცემებით, მზია პაჭკორიას მხრიდან, ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტებს ადრეც ჰქონია ადგილი, რომელთა გამოსავლენად და მათში მ.პაჭკორიას მხილების მიზნით, საქმეზე გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები. დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 დან 4 წლამდე ვადით.

## დაკავებულია საბაჟოს უფროსი ოფიცერი

**ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, შემოსავლების სამსახურის საბაჟო-გამშვები პუნქტ „სარფის“ უფროსი ოფიცერი ზურაბ მამასახლისი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მამასახლისმა, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ მეწარმე უცხადებდა საქონლის რეალურ საბაჟო ღირებულებას, მებაჟის მიერ არაერთგზის, ხელოვნურად შემცირდა, თურქეთიდან საქართველოში, სამეწარმეო მიზნით შემოტანილი სხვადასხვა დასახელების საქონლის საბაჟო ღირებულება. აღნიშნულით ავტომატურად შემცირდა საქონლის იმპორტისას, საქონლის განბაჟების გადასახადების ოდენობა, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 332 - ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

## რუსთავის სკოლაში შეჭრილები უკვე გამოასახლეს

**რუსთავში**, ჭავჭავაძის №15-ში განთავსებულ კერძო სკოლა „მზეკაბანის“ შენობაში გვიან ღამით შეჭრილი სოციალურად დაუცველი და იპოთეკის შედეგად უბინაოდ დარჩენილი ოჯახები, სამართალდამცავებმა სკოლის ხელმძღვანელობის მოთხოვნით გამოასახლეს.

სოციალურად დაუცველმა და იპოთეკის შედეგად უბინაოდ დარჩენილმა რამდენიმე ოჯახმა „მზეკაბანის“ შენობის კარი ღამით გატეხა და ოთახები დაიკავა. უბინაოები სახელმწიფოსგან ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითნებურად დაკავებული ფართის დატოვებაზე უარს აცხადებდნენ.

## სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**ლევან სამხარაულის** სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გიორგი თვაური უხელმძღვანელებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, გიორგი თვაურის დანიშვნის შესახებ ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 23 დეკემბერს მოაწერა ხელი.

ქველმოქმედება

# რა შესძლებია „ფეისბუქს“...

აქტიურმა „ფეისბუქელმა“ **რიკო (გია) გაბრიჭიძემ** და მისმა თანამოაზრეებმა — ნინო რჩეულიშვილმა, ალეკო სულავამ, ავთო ცილიკიშვილმა, ნათია ღვინიაშვილმა, მაია აბაშიძემ და ნიკა ქარსელაძემ შესანიშნავი საქველმოქმედო აქცია გამართეს — საახალწლოდ საჩუქრები გადასცეს მოხუცთა და ინვალიდთა თავშესაფარ **„სიკეთის ლამპარს“**. ამ ახალგაზრდებს თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ და ახლახან სიტყვა საქმედ აქციეს — მოხუცთა და ინვალიდთა სახლში სხვადასხვა სახის საჩუქრები მიიტანეს, რითაც სახლის დირექტორის დარეჯან ტატუაშვილის და თავშესაფარში მყოფთა გულითადი მადლობა დაიმსახურეს!

ღმერთმა ბედნიერი ახალი წელი გაუთენოს ამ აქციის ორგანიზატორებსაც და მოხუცთა და ინვალიდთა სახლის ბინადრებსაც!

**აკა მაღლაკელიძე**

ორი სათრეველა

## „დანოსი“

თუმცა ჭორებით ამო სვლა
საქვეყნოდ დააანონსა,
ვერ დაგვავიწყა, რა მოსრა
მიშისტურ ლაფში ამოსვრამ!
და რაკი დაკანკალობსა
ნაცისტურ ცოდვის კალოსა,
ფარცხალაძეზე „დანოსმა“
ვეღარ უშველა ვანოსა!

## ტიკი-ტომარა

სხვის ბოსტნებში დაალაჯებს,
ჩვენთვის ტიკი-ტომარაა,
გაგონებაც არ სურთ ქაჯებს,
პრეზიდენტი რომ არაა.
ტლინკაობენ, ტლიკინებენ
მისეული ტიკინები
და იოხებს ტიკი ვნებებს,
ყურს რომ მოგჭრის, იმ გინებით!

**ალექსანდრე შენგელია,**
ქ. ქუთაისი

## საერთაშორისო სტუდენტური ლიგა

# რევანში უკრაინელებთან



თბილისი, სპორტკომპლექსი „არენა“

სტუ (თბილისი)-ხპი (ხარკოვი) 80:75

26:17, 17:21, 17:19, 20:18

**სტუ:** ანთაძე (9ქ, 6პ, 5მ), გრძელიძე (12ქ, 4პ), ჯიქია (2ქ), ცირეკიძე (2ქ), მათიაშვილი (7ქ, 8მ, 3პ), ლომინაშვილი (15ქ, 11მ, 3პ, 3ჩ), ალხანაიძე (18ქ, 7მ), ქორიძე (4ქ), დეკანოიძე (11ქ, 8მ).

**ხპი:** მიხაილოვი (10ქ, 4პ), ოლხოვსკი (8მ), ბოროვსკი (14ქ), ჩერნიავსკი (6ქ), საინიევი (9ქ, 9მ), კოზლოვი (4ქ, 5მ, 5პ), შარაპოვი (2ქ), როჩნიაკი (22ქ, 10მ), ტელეშკო (8ქ).

სასპორტო კომპლექს „არენაში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელები ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს შეხვდნენ. სტუ-ს პირველი წრის მატჩი სტუმრად წაგებული ჰქონდა 62:67, ამიტომ სარბიელზე რევანშის წყურვილით გავიდა. სხვა მოტივაცია მასპინძლებს არც ჰქონიათ., რადგან სტუ-მ ბოლო ტურამდე გაინაღდა მესამე ადგილი, ხოლო ხარკოველები წაგების შემთხვევაშიც გათამაშის ცხრილის პირველ საფეხურზე გადაინაცვლებდნენ. მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო და პირველი მეოთხედი ცხრა ქულით მოიგეს. მართალია, მეორე და მესამე 10-წუთიანი მონაკვეთები ჩვენებმა დათმეს, მაგრამ ბოლო რაუნდში მაინც შეძლეს სიტუაციის შემობრუნება და 80:75 გაიმარჯვეს.

ამდენად, სტუ პლეი ოფში მესამე ადგილით გავიდა. მერვედფინალში ჩვენების მეტოქე პირველი ჯგუფის მეორეადგილოსანი მოსკოვის რპა იქნება.

**გივი გაგუა**

## სამთო თხილამურები

# მხოლოდ იტალიელებს ჩამორჩა



**იტალიურ პასო სან პელეგრინოში გამართულ მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირზე ქალთა სლალომში საქართველოს ნაკრების წევრი ნინო წიკლაური მხოლოდ მასპინძლებს — მატილდე მინოტოს და სარა პერონის ჩამორჩა და მესამე ადგილი დაიკავა, რითაც 65.87 ქულა დაიმსახურა.** აღსანიშნავია, რომ წიკლაურმა, რომელიც სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, მეორე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა. ქართველი სპორტსმენი ქულებს იუმჯობესებს, რათა ოლიმპიადაზე შესაბამისი სასტარტო ნომერი მოიპოვოს.

**ვაჟა ნოსირელი**

## ჩოგბურთი

# სტარტი – ბრისბენში



**ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი ამჟამად ბრისბენში (ავსტრალია) იმყოფება და მსოფლიოს ჩოგბურთის ვარსკვლავებთან შესახვედრად ემზადება. დღეს ჩვენებური სწორედ ბრისბენის მილიონიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაებმება.** არადა, წლეულს იანვარში ამავე ასპარეზობის ძირითად ბადეში იყო, თუმცა სტარტზევე გერმანელ ანჟელიკ კერბერთან დამარცხდა — 2:6, 6:4, 2:6. ავსტრალიაში მთავარი პრიზის ამჟამინდელ მფლობელ სერენა უილიამსთან ერთად ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), მარია შარაპოვა (რუსეთი), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) და სხვა სახელოვანი სპორტსმენები იასპარეზებენ. მართალია, ტატიშვილი ახლა საუკეთესო ასეულს მიღმაა (126-ე), რაც მთელი წლის განმავლობაში ტრავმით იყო გამოწვეული, მაგრამ ბოლო დროს სპორტულ ფორმას არ უჩივის და, იმედია, წარმატებებით გაგვახარებს.

**ლაშა დიდია**

## ხელბურთი

# ანკარაში – თელ-ავივის გავლით



საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება, გუშინ ისრაელში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: შოთა თევზაძე (ბაკეუ, რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე (ტრაბზონსფორი, თურქეთი), გიორგი გვაზავა (სტუ), უჩა მაისურაძე (ბათუმი), სერგო დათუკაშვილი (ალ კიადა, ყატარი), ვლადიმერ რუსია (ბაკეუ, რუმინეთი), ირაკლი ჩიქოვანი (ტიმიშოარა, რუმინეთი), რატი მსხვილიძე (ტრაბზონსფორი, თურქეთი), რევაზ ჭანტურია (სტრუმიცა, მაკედონია), ლექსო წითელიშვილი (სამტრედია), ზურაბ სიმონია (სტუ), თემურ ორჯონიკიძე (სტუ), აკაკი ტალახაძე, უჩა გამზარდია (ბათუმი), ოთარ ამირანაშვილი (სტუ), ზურაბ აბრამიშვილი (სტუ), მთავარი მწვრთნელი ჯორჯე რაშიჩი, მწვრთნელები — ბექარ ორჯონიკიძე, ირაკლი კეკელიძე. საქართველოს ნაკრები თელ-ავივში იცხოვრებს, 29 და 30 დეკემბერს ივარჯიშებს, დღეს და ხვალ ისრაელის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს აშდოდსა და რიშონში, ხოლო 31 დეკემბერს ანკარას ეწვევა და 2 იანვარს მასპინძლებთან შესარჩევი ტურნირის მესამე ტურის შეხვედრას გამართავს.

**ევროპის პირველი საკვალიფიკაციო ჯგუფის კალენდარი:**

**2 იანვარი.** ფინეთი — ლიტვა, თურქეთი — საქართველო,

**4 იანვარი.** ლიტვა — ფინეთი,

**5 იანვარი.** საქართველო — თურქეთი,

**8 იანვარი.** საქართველო — ლიტვა, თურქეთი — ფინეთი,

**11 იანვარი.** ფინეთი — საქართველო,

**12 იანვარი.** ლიტვა — თურქეთი.

ჯგუფიდან პლეი ოფში მხოლოდ გამარჯვებული გადის.

**ლექსო ცინცაძე**

## კარატე



# ბოლო აკორდი

**ამ დღეებში სპორტკომპლექსმა „ქარიშხალამ“ მესამე საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა კარატეში.**

**სეზონის შემაჯამებელი ასპარეზობა „თბილისი ოუფენ“ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის ამიერკავკასიის ქვეყნების 120-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით.**

საქართველოს შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის (პრეზიდენტი — მზეჭაბუკ მახარაძე) ორგანიზებით გამართული ამ საინტერესო ღონისძიების მრავალრიცხოვან გამარჯვებულთაგან ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს თამუნა, თურმანიძემ (16-17 წ.წ. ინდივიდუალური კუმიტე და ინდივიდუალური კატა, აბსოლუტური წონა, კლუბი „ალიგატორი“), ლუკა მამამთავრიშვილმა (11-13 წ.წ., ინდივიდუალური კატა, კლუბი „შოტოკანი“), ირაკლი დიასამიძემ (12-13 წ.წ., ინდივიდუალური კუმიტე, +45 კგ, ქუთაისის კლუბი „რიონი“), თამაზ გოჩელაშვილმა (16-17 წ.წ., ინდივიდუალური კუმიტე და ინდივიდუალური კატა, — 65 კგ, ქუთაისი).



დავძენთ, რომ სტუმართაგან საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ერევნელმა ნარეკ საროიანმა, რომელმაც 14-17-წლიანთა ინდივიდუალურ კატაში აჯობა ყველას.

**გიორგი შოთაძე**

## ინტერნეტიდან

# ქმრის დარდის გამზიარებელი მარტინა ჩეხი

**ლონდონის „ჩელსისა“ და ჩეხეთის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების გოლკიპერის პეტერ ჩეხის მოდელი მეუღლე მარტინა ჩეხი ძალიან განიცდის, რომ ჩეხთა ნაკრების ბედოვლათობის გამო არ ასრულდა მისი ქმრის ოცნება და კარიერის მანძილზე საბოლოო სიტყვა ბრაზილიის მუნდიალზე ვერ თქვა.**

„ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე და სპორტსმენები ხშირ შემთხვევაში წინასწარ არიან შეგუებულნი ბედს, თუკი მათი მომავალი ისე არ წარიმართება, როგორც მათ სურდათ და წარმოედგინათ. თუმცა, პეტერმა ძალიან ემოციურად განიცადა მსოფლიოს ჩემპიონატზე წაუსვლელობა და მე მესმის მისი. ჩემი მეუღლე სულ მალე დაასრულებს საფეხბურთო კარიერას და, ბუნებრივია, კარიერის მიწურულს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ძალიან სურდა“ — ამბობს მშვენიერი მარტინა.

მარტინა ჩეხი შარშანწინ ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ინგლისში მოღვაწე ფეხბურთელთა ცოლებს შორის ყველაზე ლამაზ ქალად დაასახელეს და ეს მარტინას ერთადერთი აღიარება ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა, როგორ ჩანს, ბედნიერებისთვის მხოლოდ ეს სულაც არაა საკმარისი...

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ფეხბურთი



# ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ზაფხულში გაეყრება

**THE TELEGRAPH-ის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი რიო ფერდინანდი პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ დიდი ალბათობით კლუბს დატოვებს. 35 წლის ფეხბურთელსა და „მანიუს“ შორის გაფორმებულ კონტრაქტს ვადა სწორედ 2014 წლის ივნისში ეწურება და ბრიტანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ახალი ხელშეკრულება აღარ გაფორმდება.**

მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი ფერდინანდის ნაცვლად დაცვის ცენტრში კრის სმოლინგს, ჯონი ევანსსა და ფილ ჯონსს იყენებს, ამიტომ წლეულს გამოცდილ უკანახაზელს მხოლოდ 7 თამაში ანდო.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს რიო ფერდინანდი კარიერას, ან საერთოდ გააგრძელებს თუ არა. ამ ეტაპზე გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ბრიტანული ტელეარხისთვის ექსპერტად იმუშავებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**სასარგებლო რჩევები**

# „ცუდი ჩვევების“ კარგი თვისებები

**ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ბევრი ეგრეთ წოდებული „ცუდი ჩვევა“ სინამდვილეში არც მაინცდამაინც მავნეა. აღმოჩნდა, რომ ასეთ ჩვევებს შორის რამდენიმე „კარგიც“ ყოფილა, მათ შორის, კერძოდ..**

## ...ჭამის დროს ტელევიზორის ყურება

ბევრჯერ გვსმენია, რომ ჭამის დროს ტელევიზორის ცქერა არვარგა, რადგან ამ დროს საჭიროა ღეჭვაზე ყურადღების გამახვილება, ვინაიდან მხოლოდ ასე ხდება სასარგებლო ნივთიერებათა სრულად ათვისება.

არადა, მომუშავე ადამიანთა უმრავლესობა ფეხზე მდგარი, ხშირად სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ჭამს, რის გამოც ნაჭრებს მთლიანად ყლაპავენ, რაც კუჭის წყლულისა და გასტრიტის პირდაპირი გზაა. **როცა ჭამის დროს კაცს ყურადღება კითხვაზე ან ტელევიზორზე გადააქვს, იგი უფრო ნელა ჭამს. შემთხვევითი როდია, რომ ამ დროს ბევრ კაფესა და ბარში ტელევიზორებს დგამენ, რადგან შეამჩნიეს, რომ კლიენტებს ეს ადუნებს.**

## ...სახალხოდ მოშარდვა

ზოგიერთ სამხრეთულ ქვეყანაში მამაკაცები ხშირად ყოველგვარი მორიდების გარეშე სახალხოდ შარდავენ. ამასთან დაკავშირებით უროლოგები აცხადებენ, რომ **როცა შარდის ბუშტი სავსეა, ამ დროს მარტო მისი კედლები კი არა, თირკმლებისა და შარდსადენის ბუდეებიც იწელება, რასაც შარდვის პროცესის დარღვევა თირკმელების ანთების (პიელონეფრიტის) გამოწვევაც კი შეუძლია.** ამიტომ ბიჭების დატუქსვა, როცა ისინი მიწაზე შარდავენ, მხოლოდ მაშინ უნდა, როცა ამას საპირფარეშოს გვერდით აკეთებენ.

## ...ფრჩხილების კვნეტა

დიდი ხნის მანძილზე ამ ჩვევას არამარტო მავნედ, არამედ სახიფათოდაც მიიჩნევდნენ, რადგან ეს მიკრობების პირის ღრუში მოხვედრის პირდაპირი გზაა. არადა, ახლა მედიკოსები აცხადებენ, რომ სტერილურ სივრცეში ცხოვრება შეუძლებელია, ამდენად მიკრობების **მცირე დოზები ორგანიზმისთვის მართლაც სარგებლობის მომტანია და იმუნიტეტის განვითარებას უწყობს ხელს.**

## ...ჩხუბი

უწინ ეგონათ, რომ გამუდმებული უსიამოვნებები ოჯახის დამანგრეველი ნელი მოქმედების ნაღმია. მერე კი მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ **იმ ხალხს, ვისაც დროდადრო ცოლ-ქმრული უსიამოვნებები მოსდის, სტრესის ჰორმონი კორტიზოლი იმათზე ნაკლები დოზით გამოუმუშავდებათ, ვინც წყენას ითმენს.** მიჩიგანის საზოგადოებრივ ჯანმრთელობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომლებიც 17 წლის მანძილზე 200 წყვილს აკვირდებოდნენ, დაადგინეს, რომ **იმ ოჯახებში, სადაც გაბრაზების ან წყენის გამოვლენა მიღებული არ არის, ერთ-ერთი მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალების ალბათობა ორჯერ მატულობს!** ამდენად, რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე ინახავთ წყენას, მით უფრო მეტი ნეგატიური ემოციები გიგროვდებათ. **წყენის გულში ჩამარხვას ნებისმიერი, რაგინდ მწარე გამოთქმული პრეტენზიები სჯობს,** რასაც, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, „ურთიერთობათა განულება“ მოყვება ხოლმე და ყველაფერი თავიდან, ასე ვთქვათ, „სუფთა ფურცლიდან“ იწყება.

## ...ყოველ დღე საპნით ტანის ბანვა

კარგა ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ ყოველდღიურად შხაპი კანს ჭუჭყისა და მტვრისგან ასუფთავებს და მას სუნთქვის საშულებას აძლევს. ეს ყველაფერი კი ასეა, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ **ყოველდღიურად ტანის ბანვა კანის უდროოდ დაბერებას იწვევს.**

დერმატოლოგები ამბობენ, რომ ჭარბი სისუფთავის სინდრომი დიდი სიკეთის მომტანი არ არის — **კონცენტრირებული საპნით გაჯერებული ცხელი წყლის კანს ბუნებრივ ცხიმოვან გაზეთვას აცლის, რაც გაშრობასა და ნაპრალების წარმოშობას უწყობს ხელს, დერმატიტის საშიშროებას ჰქმნის.** საქმე ისაა, რომ კანზე აგრესიულად არა ცხელი წყალი მოქმედებს, რომელიც მას ბუნებრივად ნამავს, არამედ მოვლის საშუალება (საპონი, ქაფი). ამდენად **ექიმები არა შხაპის მიღებისგან, არამედ გამწმენდი პროცედურებისგან თავის შეკავებას გვირჩევენ.**

## ...კერძისთვის მარილის დაკლება

მას შემდეგ, რაც ექიმებმა დაადგინეს, რომ საკვებში მარილის სიჭარბე ჰიპერტონიის რისკს 10-11-ჯერ ზრდის, თავის ტკივილებს იწვევს და ბრონქულ ასთმას ამძაფრებს, დიეტოლოგები კერძებში ნაკლები მარილის დამატებას გვირჩევენ. ახლახან კი მედიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ **მარილის უკმარისობა ნერვული სისტემის სტრესს იწვევს, რომელიც ინსულინისადმი ორგანიზმის მგრძნობიარობას აქვეითებს** (რაც დიაბეტის საფრთხეს წარმოშობს) და ჰორმონალურ სტატუსზე მოქმედებს (რაც შესაძლოა სიმსუქნის მიზეზი გახდეს). მარილი — ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის შემადგენელი ნატრიუმი და ქლორი ორგანიზმში წყლის ბალანსის დაცვას უზრუნველყოფენ. დიეტოლოგების მიერ დადგენილი მარილის დღიური დოზა 5 გრამია, რაც ჩაის კოვზის ნახევარს შეადგენს.

## ...იძინეთ იმდენი, რამდენიც გსურთ

გგონიათ, რომ რაც მეტი გძინავთ, მით უკეთესია? სულაც არა — ბოლო მონაცემებით **ჭარბი ძილი შესაძლოა, დიაბეტის, სიმსუქნისა და დეპრესიის მიზეზი გახდეს, თანაც სიცოცხლეს შვიდი წლით ამოკლებს!** ამავე დროს, ძილის დეფიციტს (თუკი იგი დღე-ღამეში 8 საათზე ნაკლებს შეადგენს) შეუძლია ჰიპერტონიისა და მეხსიერების დაქვეითების გამოწვევა. **იმ ხალხს, ვისაც ყოველდღიურად 9 საათზე მეტი სძინავთ, ადრეული სიკვდილის რისკი 12 პროცენტით მატულობს.** ძილის ოპტიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამეში 7-8 საათია, ამიტომ ლოგინში დიდი ხნით გაჩერება ნამდვილად არ ღირს.

**ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ სამხატვრო ხელმძღვანელს ნიკოლოზ რაჭველს დედის, ღვთისნიერი და კეთილშობილი ადამიანის**

**ლამარა ისაკაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**



# ახალი წლის მოლოდინში...



**ახალი წლის მობრძანება დიდ-პატარის გულში მუდამ ნათელი მომავლის იმედითა და გულწრფელი, ბავშვური მოლოდინითაა აღსავსე, რასაც ამ დღეებში დედაქალაქის ერთ უზარმაზარ სანახაობად გადაქცევაც გვიძლიერებს.**

25 დეკემბერს სწორედ ეს განწყობა გააძლიერა, პეწი შესძინა თბილისში ჩვენებური თოვლის პაპებისა და შორეული ლაპლანდიიდან ჩამობრძანებული სანტა-კლაუსების მხიარულმა მსვლელობამ, რომელმაც პატარებს ბედნიერი ბავშვობის გრძნობა გაუღვივა, უფროსები კი, ცოტა ხნით მაინც, ბავშვობის სანუკვარ ხანას დაუბრუნა. პროსპექტზე შეკრებილნი მხიარული შეძახილებით შეხვდნენ უზარმაზარი საახალწლო ნაძვის ხისა და ღარადელებით გალამაზებულ რუსთაველის გაჩახჩახებას.

ბევრის თქმა შეიძლება ამ საუცხოო სანახაობის შესახებ, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ ჯერზე სიტყვებზე უკეთ ამას მეტყველი ფოტო მოგითხრობთ, პატივცემულო ბატონებო, და ჩვენს სადღესასწაულო მილოცვასაც გადმოგცემენ.

**ტესტი**

# რამდენად ხარ დარწმუნებული საკუთარ თავში?

**გაიარეთ ტესტი და გაიგეთ ეს. ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 1 ქულა, პასუხზე „ბ“ — 0 ქულა.**

**1. როდესაც რესტორანში შედიხართ, ეთანხმებით, რომ მიუჯდეთ მაგიდას, რომელზეც უკვე ვიღაცა ზის?**
ა) არა, ბ) კი.

**2. თუ ხდება ხოლმე, რომ ხანგრძლივი გამგზავრების წინ უეცრად გინდათ, უარი თქვათ მასზე?**
ა) დიახ; ბ) არა.

**3. ხშირად გახსომდებათ საკუთარი სიზმრები?**
ა) არა; ბ) დიახ.

**4. გიყვართ ახალი ადამიანების გაცნობა?**
ა) არა; ბ) დიახ.

**5. ზოგჯერ წამოხტებით ხოლმე ღამით ძლიერი შიმშილის გრძნობით?**
ა) დიახ; ბ) არა.

**6. თქვენთვის პრინციპულად სულ ერთია, რომელ ადგილზე დაჯდებით თეატრში ან კონცერტზე?**
ა) დიახ; ბ) არა.

**7. ძალიან განიცდით ხოლმე, როდესაც მოულოდნელად აგაწყდებათ ღილი პერანგზე (ხალათზე);**
ა)დიახ; ბ) არა.

**8. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ როდესაც ქუჩაში გამოხვედით, დაფიქრებულხართ — გამორთეთ თუ არა უთო, გაზი, კიდევ ხომ არაფერი დაგავიწყდათ?**
ა) დიახ; ბ) არა.

**9. ზოგჯერ შეხტებით ხოლმე, როდესაც ტელეფონი რეკავს?**
ა) დიახ; ბ) არა.

**10. ხშირად გრძნობთ თავს უკიდურესად დაღლილად, არადა, თითქოს არ გადაგღლიათ თავი?**
ა) დიახ; ბ) არა.

**11. ჩვეულებრივად სწრაფად ღებულობთ გადაწყვეტილებას?**
ა) არა; ბ) დიახ.

**12. თქვენს ქცევებში უმთავრესად ხელმძღვანელბთ იმით, თუ რას ელოდებიან თქვენგან გარშემომყოფნი?**
ა) დიახ; ბ) არა.

**13. ხშირად განიცდით საკუთარი თავით უკმაყოფილებას, რჩებით ნაწყენი რაიმეზე სერიოზული მიზეზის გარეშე?**
ა) დიახ; ბ) არა.

**14. გიხარიათ იმ სტუმრების მოსვლა, რომლებიც თქვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მოვიდნენ?**
ა) არა; ბ) დიახ.

**15. ხშირად თუ გინდათ, რომ არავინ ნახოთ, დარჩეთ საკუთარ თავთან და იფიქროთ მწუხარებაზე?**
ა) დიახ; ბ) ლარა.

## შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**15-16 ქულა**. ეტყობა, თქვენ არ აძლევთ თქვენ გრძნობებს განვითარების საშუალებას, გეშინიათ თქვენი „თავისუფალი“ აზრების. ნუ მიიყენებთ საკუთარ თავს კუთხეში! ეცადეთ, დაძლიოთ თქვენი შიშები და მაშინ თქვენი ცხოვრება გაცილებით საინტერესო გახდება!

**12-9 ქულა**. როგორც ჩანს, თქვენ არ შეიძლება გეწოდოთ ძალიან დარწმუნებული საკუთარ თავსა და საკუთარ ძალებში. ეს შეგრძნება, ალბათ, არ გაძლევთ საშუალებას „გაშალოთ ფრთები“. ანალიზი გაუკეთეთ თქვენს ქცევებს, ნუ დაიზარებთ და ნუ გეშინიათ, დაიცვათ თქვენი თვალსაზრისი. და, რაც მთავარია, ნუ იცურებთ დინების მიხედვით!

**8-5 ქულა**. ეს შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ გაქვთ მოთხოვნა, იგრძნოთ თავი უფრო დარწმუნებულ ადამიანად. მაგრამ თქვენ რამდენადმე საკუთარ თავში ჩაკეტილი ხართ და ხშირად საზოგადოებრივი აზრისა გეშინიათ.

**4-1 ქულა**. არ გამოვრიცხავთ, რომ თქვენ იშვიათად გიხდებათ ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმა და, საერთოდ, მყარად დგახართ. თუ ზოგჯერ განიცდით გაუბედაობას, ეს არის არა ნაკლოვანება, არამედ მხოლოდ თქვენი ფსიქიკის მოქნილობაზე მეტყველებს.

**0 ქულა**. თქვენ იმდენად ხართ საკუთარ თავში დარწმუნებული, რომ ჩნდება გრძნობა, თითქოს არ იყავით გულწრფელი თქვენს პასუხებში. ამის იმედიც გვაქვს, ვინაიდან ანტიკური აფორიზმი გვმოძღვრავს: „გადაჭარბებული რწმენა საკუთარ თავში დიდ უბედურებათა მიზეზი ხდება“, შეეცადეთ, კიდევ ერთხელ გაიაროთ ტესტი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

### სოკო და კვერცხი მოხუცებულობის წინააღმდეგ

**სელენის (ქიმიური ელემენტია) უკმარისობა აჩქარებს ორგანიზმის დაბერების პროცესს, დაადასტურეს გერმანელმა მეცნიერებმა.** მათ დაადგინეს: სისხლში არსებული სელენოპროტეინის ცილა, რომელიც საკვებისგან სელენის ათვისებაზეა პასუხისმგებელი, შეიძლება სხვა ცილების გამომუშავება გადამწყვეტი ფაქტორი იყოს. ეს უკანასკნელები უზრუნველყოფენ ორგანიზმის დაცვას თავისუფალი რადიკალებისგან. აი რატომაა, რომ სელენოპროტეინის უკმარისობა უმალვე ზრდის ონკოლოგიურ დაავადებათა გაჩენის რისკს. ასევე თავისუფალი რადიკალებისგან დაუცველ ორგანიზმში აქტიურდება ორგანოებისა და ქსოვილების ელვისებური დაბერების პროცესები.



სელენის მდიდარ წყაროებად ითვლება კვების პროდუქტები: ღვიძლი, ზღვის პროდუქტები და ზღვის თევზი, კვერცხის გული, სოკო, სიმინდი და ბრაზილიური კაკალი.



### როგორ გავლენას ახდენს კომპიუტერი ტვინზე

**როდესაც ადამიანი თავისი დროის დიდ ნაწილს კომპიუტერულ თამაშებს უთმობს, მისი ტვინი განიცდის ცვლილებებს ფიზიოლოგიურ დონეზე, მიაჩნიათ ექსპერტებს ბრიტანეთის სამეფოს ინსტიტუტიდან.** ხდება ტვინის ადაპტაცია გარემობუნების ცვალებადობისადმი (კომპიუტერზე თამაშის დროს იგი ერთი ტიპისაა), და, ტვინში ნერვული კავშირების ნაწილი აღარ ფუნქციონირებს. ამ დროს კომპიუტერული თამაშები აღმგზნებად მოქმედებენ ტვინის იმ ცენტრებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან დამოკიდებულებასა და ჯილდოზე. ამის გამო თამაშები შეიძლება ადამიანის მთავარი ვნება გახდეს, დათრგუნოს ყველა სხვა ინტერესი.

იაპონელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ კომპიუტერული თამაშები სტიმულს აძლევენ ტვინის იმ ნაწილებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მხედველობასა და მოძრაობაზე, ამ დროს დანარჩენი უბნები კომპიუტერთან თამაშის დროს არ ვითარდებიან.

### კვირის ციფრები

**20-30 მილილიტრი სპირტი დღეში – ალკოჰოლის უსაფრთხო დოზაა ქალებისთვის, მიაჩნია დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.**

## დაიჯესტი

### ჩვენი მეგობარი ნიორი

**გრიპებისა და გაციებების ერთ-ერთ უებარ წამლად ოდითგანვე ნიორი ითვლებოდა, ცოტა ხნის წინათ კი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამშობლოში მომუშავე ჩინელ მეცნიერთა ჯგუფმა გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ის ფილტვების კიბოთი დაავადების საფრთხეს ორჯერ ამცირებს!**

ჩინეთში ნიორს ხალხური მედიცინის ერთ-ერთ უმთავრეს წამლად მიიჩნევენ, ამდენად მსოფლიო სამედიცინო კვლევები მის შესასწავლად საკმაოდ მასშტაბურია. დიდი ხანია ცნობილია, რომ ნიორი მეტად სასარგებლოა მსხვილი ნაწლავის, კუჭის, პროსტატის, მკერდის, ფილტვების, ღვიძლის კიბოს არა მარტო პროფილაქტიკისთვის, არამედ მკურნალობისთვისაც კი.

ახლახან ჩინელმა მეცნიერებმა წარადგინეს შვიდწლიანი გამოკვლევის შედეგები, რა დროსაც 1,5 ათასი კიბოს სიმსივნით დაავადებული და 4,5 ათასი ჯანმრთელი ადამიანი შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ მათ შორის, ვინც უმ ნიორს კვირაში ორჯერ მაინც ჭამს, ფილტვის კიბოთი დაავადების რისკი 44 პროცენტით ნაკლები აქვთ. კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავი შედეგი ისაა, რომ თამბაქოს მწეველებშიც კი ამ საშიშროებას ნიორი 30 პროცენტით ამცირებს! თუმცა, თამბაქოს მწეველები ამით თავს ნუ დაიმშვიდებენ: მათ შორის ფილტვის კიბოთი დაავადების საშიშროება, არამწეველებთან შედარებით 10-25-ჯერ მაღალია.

მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ნიორი ერთდროულად კიბოს გაჩენის რამდენიმე მექანიზმზე ზემოქმედებს: იგი წინააღმდეგობას უწევს კანცეროგენების მოქმედებას, აღადგენს მუტაციებს (გენების დაზიანებას), რომლებსაც კიბოს გამოწვევა შეუძლია და მათი დაპროგრამებული დაღუპვის მექანიზმსაც კი რთავს.

ჩინელი მედიკოსების განცხადებით, ნივრის ყოველდღე ჭამა საჭირო არ არის – კვირაში ორჯერ ორი-ოთხი წვრილად დაჭრილი კბილი სხვადასხვა კერძს შეგიძლიათ დაუმატოთ. თანაც ვიდრე ნიორს კერძს უზამთ, გაფცქვნილი კბილები 10-12 წუთით თეფშზე დატოვეთ.

### „სარკევ, ძვირფასო, მითხარი...“

**ბრიტანული კოსმეტიკური ფირმის „საფერდრაგის“ დაკვეთით ჩატარებულ ერთობ უჩვეულო გამოკვლევაში მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ქალმა ერთდროულად მიიღო, შედეგად გაირკვა, რომ საკუთარ სატრფოს უმაკიაჟოდ მამაკაცები, საშუალოდ, მხოლოდ ერთი თვის, უფრო სწორად კი ოთხი კვირისა და ერთი დღის შემდეგ ნახულობენ.**

ქალბატონთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ შეყვარებულთან დაუხატავად გამოჩენა არც ერთმა ქალმა არ უნდა იჩქაროს, გამოკითხულთა მესამედი საერთოდ არ უშვებს აზრს, რომ პირველ პაემანებზე შეიძლება მაკიაჟის გარეშე მისვლა, ათიდან ექვსის აზრით კი ვიდრე არ დარწმუნდები, რომ მამაკაცს ნამდვილად უყვარხარ, მაკიაჟი საერთოდ არ უნდა ჩამოირეცხო! გარდა ამისა, გამოკითხვაში მონაწილე ქალბატონთა 30 პროცენტმა განაცხადა, რომ თაყვანისმცემლებთან ერთი ერთზე დარჩენის შემთხვევაში, პირველ რიგში საააბაზანოში შევა მაკიაჟის შესასწორებლად.

რაც შეეხება ინტიმური ურთიერთობების პერიოდს, თავდაპირველად საკუთარი გარეგნობის „შესამოწმებლად“ შუაღამისას ათიდან ცხრა ქალი დგება და სარკეში იყურება, ხოლო გულს სიმშვიდე საბოლოოდ, როგორც ვთქვით, მხოლოდ29 დღის შემდეგ ეუფლება.

## ცინცხალი ანეკდოტები

– **რამდენი** კაცი მუშაობს აქ?
– ბრიგადირთან ერთად – ათი.
– უბრიგადიროდ?
– უბრიგადიროდ საერთოდ არავინ არ მუშაობს.

* * *

– **ექიმო**, პრობლემა მაქვს. ჩემს თავს ველაპარაკები.
– ეს საშიში არ არის, ბევრი ადამიანი ელაპარაკება თავის თავს.
– მაგრამ მე ისეთი გულის გამწყალებელი ვარ...



* * *

– **ალო**, მიხო, შენი მეზობელი ვარ! შენს ბინაში ქურდები შეიპარნენ! ნივთები გააქვთ!
– რა ნივთები?
– შენი სიდედრის დივანი, ჩემოდანი და ქურქი!
– ჩუმად ილაპარაკე! არ დააფრთხო!!!

* * *

– **ექიმო**, როდის უნდა გამწერონ? უკვე რამდენი თვეა, რაც საავადმყოფოში ვარ...
– ადრეა, საყვარელო, ადრეა თქვენი მდგომარეობის მქონე კაცის გაწერა.
– ექიმო, მაგრამ მე ხომ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.
– მე თქვენი ფინანსური ჯანმრთელობის მდგომარეობას ვგულისხმობდი.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „ოთარ ფარცხალაძე ოცნებას ნაციონალებმა შეუგდეს“

– **დარწმუნებულია** პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, – ეს ჭუჭყიანი ბიოგრაფიის მქონე კაცი მათ ხელისუფლებაში იყო და ორდენებსაც იღებდა. ეს ერთი ვარიანტია... მეორე ის არის, რომ ამ კაცმა ბევრი რამ იცის... თქვენ მართლა გგონიათ, რომ ზურაბ ადეიშვილი არ იციან, სად არის? ყველამ კარგად იცის, მას მფარველობენ ისინი, ვინც აქამდე მფარველობდა...

**„ახალი თაობა“**

### მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში შესვლის აკრძალვას „ფეისბუკით“ ეხმაურება

**იგი** საკუთარ გვერდზე წერს: „სამწუხაროდ, როგორც ჩანს, უახლოეს კვირებში ჩემს მეორე სამშობლოში – უკრაინაში ჩასვლის შესაძლებლობა არ მექნება. მაგრამ ჩემი გული და სული ჩემს უკრაინელ დებთან და ძმებთან რჩება, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის იბრძვიან. დარწმუნებული ვარ, მალე ისევ შევხვდებით მათ ლამაზ და თავისუფალ კიევში, რათა მათი დამოკრატიული ტრიუმფი აღვნიშნოთ. გაუმარჯოს უკრაინას! – წერს სააკაშვილი.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და უსაფრთხოების სამსახურმა პარტია „რეგიონების“ დეპუტატ ოლეგ ცარევის მოთხოვნის საფუძველზე უცხოეთის მოქალაქეს, მათ შორის სააკაშვილსაც, უკრაინაში შესვლა აუკრძალა.

**„ალია“**

### „ტვ-3“-ის დირექტორი „ნაციონალებს“ მუქარასა და შანტაჟში ადანაშაულებს

**განცხადებაში**, რომელიც ტელევიზიამ გუშინ გაავრცელა, ნათქვამია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ბოლო თვეების განმავლობაში არხის „შეგნებული დისკრედიტაცია“ მიმდინარეობს.

არხის დირექტორი და სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი ამბობს, რომ პირდაპირი მუქარა მერიის თანამშრომლების მხრიდან ხორციელდება.

**„რეზონანსი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24